



გაზეთი გაეშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრადიის

N11 (9262)

20 აპრილი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

გაუქმდა ზრობლევის მომხარებას დაჰირდნენ

2



4

თავისუფლება, სამახიტლიანობა და იუდეობა

6 *პროტესტით ციფრს
გეროცხვით!*



8

ქუბან მისა კაცობისა

მემკვიდრეობის ბიზნის ჯიგლაძის წარმატება

3



3

სამბრადიის "ეტიკონი მოსწავლე" მედი კაზეიზვილია

გაუქმდებიან პრობლემატური მოგზაურები და პირები

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და მერის მოადგილე დავით ბახტაძე, სოფელ ბაშის მცხოვრებთა პრობლემატურ დროულ რეაგირებას მიხედვით, სოფელს ეწვივნენ. მათთან ერთად იმყოფებოდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი ბაქარ ბაბუხაძე. გასულ კვირას ბაშის მოსახლეობამ ორი საათის განმავლობაში გზა გადაკეტა და ხელისუფლებისადმი დახმარება ითხოვა. ბაშელებმა ხელისუფლების წინაშე კიდევ ერთხელ გაახშირეს ის პრობლემა, რომელთა გადაჭრას დროულად ითხოვდნენ. როგორც ცნობილია, საჭირო ლიცენზიის მქონე რამდენიმე კომპანია მოიპოვეს რიონის სანაპიროდან ინერტულ მასალას, რომელიც ავტობანის მშენებლობის სხვადასხვა მონაკვეთზე დიდ სატვირთო მანქანებს მიაქვთ. მოსახლეობა კარიერის მეპატრონეებისადმი ითხოვს ამ მანქანების მიერ დაზიანებული გზების შეკეთებას. ვინაიდან მანქანები დიდი დატვირთვით, დღე-ღამის განმავლობაში ინტენსიურად გადაადგილდებიან, გზებზე წარმოქმნილი მტკვრის ბული მოსახლეობას აწუხებს, ამიტომ მოსახლეობა ითხოვს გზების მორწყვას.

შეხვედრის შემდეგ “სამტრედიის მაგნიტის” მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ბაშის თემში რამაზ კაშიამ განაცხადა: “სამი წელია, ეს ხალხი მუშაობს კარიერზე, ერთი მიმართულება დასრულდა და მეორე მიმართულებაზე მუშაობა იწყება ამ წლის ბოლოს. ამ კარიერის მეპატრონეებს მოსახლეობა მათ მიერ დაზიანებული გზების აღდგენას ითხოვს. კი ბატონო, ჩვენ ავტობანის მშენებლობა გვახარებს, ამას არაფერ ეწინააღმდეგება, ბიზნესმენმა ფული იშოვოს, მაგრამ სოფლის მცხოვრებთა ინტერესებიც გაითვალისწინოს. 700-800 მეტრი ცენტრალური გზა დაზიანებული, მის დროებით შეკეთებას ითხოვს მოსახლეობა, რომ ადამიანები შეუფერხებლად გადაადგილდნენ. ამას წინაშე გადავარდა ჩვენი მცხოვრებნი მანქანით და დაზიანდა. ეს ქვიშა და ღორღით დატვირთული მანქანები, თუ არ ვცდები, ლანჩუთის რაიონის სოფელ ვახსუბანში მიდიან.

— რა იმედი ჩავისახათ დეპარტამენტის წარმომადგენლის მოსვლამ?
— მას ადრეც შეეხვდი, დღეს დაგვპირდა, რომ მოსახლეობის გულისტკივილს გულთან მიიტანენ და ოთხი დღის განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია: “როგორც დღევანდელ შეხვედრაზე აღინიშნა, მორწყვა გზები, სხვათა შორის, ეს კომპანიები მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძობდნენ მოსახლეობის წინაშე. ჩვენ მოსახლეობის განწყობას სრულიად ვიზიარებთ და ვპირდებით, ეს პრობლემა მოგვარდება.”



სამტრედიის “ეტალონი მოსწავლე” მუხი კაზაიშვილი

ნათია ნაცვლიძე

საქართველოს ინტელექტ-ჩემპიონატში “ეტალონი” 2017-2018, 18 აპრილს გამოავლინა სამტრედიის ეტალონი მოსწავლე, რომელიც სამტრედიის სახელით იბრძოლებს საქართველოს ეტალონი მოსწავლის ტიტულის მოსაპოვებლად. ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი “ეტალონი” ტრადიციულად საქართველოს მასშტაბით ტარდება და მასში ყველა სკოლის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ. წლებად ჩემპიონატში სამტრედიის ყველა საჯარო სკოლის 78-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, ეს საუკეთესო მოსწავლეები სკოლებში ჩატარებული ტესტირების შედეგად გამოვლინდნენ. პროექტს მხარს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უჭერს და იგი უკვე მეთორმეტე წელია, უწყინდისა და უნეტარების, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. “ეტალონის” ავტორის და უცვლელი წამყვანის, აკადემიური დოქტორის, გონა ტყემელაშვილის სტუმრობა სამტრედიის კიდევ სხვა აქტუალურ საკითხებს უკავშირდება. ვიდრე სამტრედიის ეტალონ მოსწავლეს გამოავლინდნენ, “ეტალონის” ჯგუფის წევრები სამტრედიის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში შეკრებილ საჯარო და კერძო

დეალური ტესტი, თითოეულ დარეგისტრირებულ მშობელს შეიღისათვის მომზადებული ინდივიდუალური სასკოლო ტესტი მიუვა. ბავშვი მას შეავსებს და საუკეთესო მოსწავლეები დაჯილდოვდებიან დიპლომებით, ხოლო გამორჩეულად საუკეთესოები თავიანთი მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მხრიდანაც იქნებიან წახალისებულნი. სამტრედიის სკოლების უკლებლივ ყველა დირექტორმა მოიწონა გონა ტყემელაშვილთან თანამშრომლობის იდეა და საქმიანი ურთიერთობაც დამყარდა. “სამტრედიის მაგნიტ” ამ საკითხზე კომენტარი სთხოვა

ევისტრიდინე და მიიღონ მონაწილეობა ამ საგანმანათლებლო პორტალის ტესტირებაზე პასუხის გაცემაში და ყოველთვიურად ამოწმონ თავიანთი პროგრესი.”

ეკა ჯამბურია, ნაბაკევის საჯარო სკოლის დირექტორი: “ეს პრეზენტაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩვენს შვილებს სჭირდება როგორც განათლება, ასევე მოქალაქეობრივი ვალდებულებების კარგად გაანერება, ეს ტესტები ბავშვებს დაეხმარება. ბატონი გონა ტყემელაშვილი ისეა მოტივირებული, მისი განწყობა ჩვენც გადმოგვედო. ეს პროექტი სკოლაში მშობლების გააქტიურებასაც ნიშნავს და ვინაიდან ეს პროგრამული კითხვებია, ყველა მასწავლებელი უფრო მოტივირებული იქნება და გააქტიურდება, რომ მისმა მოსწავლემ კომპეტენციის ზღვარზე გადალახოს და ცოდნაც მიიღოს”.

მომდევნო დიდი თავგრილობის ადგილი კი მესამე საჯარო სკოლა იყო, სადაც სამტრედიის წლის “ეტალონი” მოსწავლე გამოვლინდა. აქტიური თანამშრომლობისათვის გონა ტყემელაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მერის მოადგილე დავით ბახტაძეს, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურს, “ქართული ოცნების” თავმჯდომარე ტარიელ დვალაშვილს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარ სპეციალისტ ალექსანდრე თევზაძეს, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, ტურიზმის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროს ნატალია მანჯგალაძეს და სამსახურის წარმომადგენელს გურანდა გურგენიძეს. შეკრებილთა მიხედვით ვალერიანე ფოცხვერია, მან მადლობა გადაუხადა “ეტალონის”, ამ



მეთორმეტე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ნინო ონიანს: “ეტალონი ჯი-მ” შექმნა საგანმანათლებლო პორტალი “მზრუნე ჯი”, საინტერესოა ამ პორტალის არსებობა,

მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტის ავტორსა და წამყვანს და ყველა მოსწავლეს წარმატებულ უსურვა. დაისვა საკმაო სირთულის 20 შეკითხვა. კონკურსი “ეტალონის” თანამედროვე IT ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი პროგრამის მეშვეობით ჩატარდა. გამარჯვებულის ვინაობა პასუხის გაცემის პროცედურის დასრულებისთანავე გამოვლინდა. გამარჯვებულის გამორჩეულობაზე პუბლიკის წინაშე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ თებროლე



სკოლების დირექტორებს შეხვდნენ. გონა ტყემელაშვილმა ყველა სკოლას ახალი პროექტი წარუდგინა და თანამშრომლობა შესთავაზა. სკოლა, რომელიც გააფორმებს ხელშეკრულებას “ეტალონთან”, მისი სკოლის მოსწავლეები ჩაერთვებიან “ეტალონის” მიერ შექმნილ საგანმანათლებლო პორტალში “Izruna.ge”. ამ პორტალის არსი ის არის, რომ ყოველი თვის ბოლო კვირას ცხადდება “შვილებზე ზრუნვის დღე”, პროექტის ფარგლებში მომზადდა უამრავი ინდივი-

დუალური ტესტი, თითოეულ დარეგისტრირებულ მშობელს შეიღისათვის მომზადებული ინდივიდუალური სასკოლო ტესტი მიუვა. ბავშვი მას შეავსებს და საუკეთესო მოსწავლეები დაჯილდოვდებიან დიპლომებით, ხოლო გამორჩეულად საუკეთესოები თავიანთი მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მხრიდანაც იქნებიან წახალისებულნი. სამტრედიის სკოლების უკლებლივ ყველა დირექტორმა მოიწონა გონა ტყემელაშვილთან თანამშრომლობის იდეა და საქმიანი ურთიერთობაც დამყარდა. “სამტრედიის მაგნიტ” ამ საკითხზე კომენტარი სთხოვა

ევისტრიდინე და მიიღონ მონაწილეობა ამ საგანმანათლებლო პორტალის ტესტირებაზე პასუხის გაცემაში და ყოველთვიურად ამოწმონ თავიანთი პროგრესი.”

და კესარია ივანიაძეები, ანანო გალდავა და ანანო თვაური. სცენაზე იხმეს გასული წლის ეტალონი მოსწავლე ნიკოლოზ ამაღლობელი და დაასაწყურეს მისივე ფოტოთი. ფოტო მამინ არის გადაღებული, როცა მან “ეტალონში” გამარჯვება მოიპოვა. პირველ ადგილზე დიდი ჯიხაბის პირველი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე მეგი კახიშვილი გავიდა. მეორეზე ეთუნა კაცაძე სკოლა “ცოდინან”, ხოლო მესამეზე ელენე ალფაიძე მესამე სკოლიდან. “სამტრედიის მაგნიტ” მოუწია, დიდი ჯიხაბის პირველი სკოლის დირექტორისათვის ეცნობებინა ამ სკოლის მოსწავლის

მნიშვნელოვანი გამარჯვების შესახებ, როცა ქალბატონ მანანა ხაზალიას კომენტარისთვის დაუკავშირდით. მანანა ხაზალია: “ძალიან სასიხარულო ფაქტია, მეგი ძალიან ნიჭიერი და კარგი გოგონა, საუკეთესო არიან სამივე დედამამიშვილი, თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებულად თამაშობენ ინტელექტუალურ თამაშებს, მათ სითამაშე შესაძინა გამოცდილებამ და მღელვარებაც ნაკლები აქვთ. ძალიან სასიხარულოა, რომ ისეთ პრესტიჟულ პროექტში, როგორც “ეტალონია”, ჩვენი სკოლის მოსწავლემ გაიმარჯვა.”

მეექვსეკლასელ გოგონა ჯიბლასის წარმატება

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ, გიორგი ჯიბლასმა ახლახან მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მასშტაბის გადამცემში "ნარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი". ეს ამერიკული პროექტი მსოფლიოს 56 ქვეყანაში მიმდინარეობს, საქართველო ორმოცდამეჩვიდმეტეა, პროექტი ჩვენთანაც წარმატებით ხორციელდება. მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, კონკრეტულ სტუმარს – ცნობილ სახეს კითხვებზე პასუხების გაცემაში ეხმარებიან, რომ მან გარკვეული რაოდენობის თანხა მიიღოს. გადაცემის წამყვანი დავით ველიჯანაშვილია. გიორგი ჯიბლასე პირველი სამტრედიელი იყო, რომელიც გადაცემის მონაწილე ნიჭიერთა ხუთეულს ამშვენებდა. სტუმარი კი, პრიმა-ბალერინა, განუმეორებელი ნინო ანანაშვილი გახლდათ. გიორგის მათემატიკური კატეგორიის კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. მათემატიკა მისი ძლიერი მხარეა, თუმცა არც სხვა საგნებშია ნაკლებად ნიჭიერი.

წარმატებული მოსწავლის სტენდი

უკვე ამშვენებს სკოლას. გიორგიმ "სამტრედიის მაცნეს" საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა: "კასტინგზე რომ გამომიძახეს, ძმასთან მეხუთეკლასელ სანდროსთან და დედასთან ერთად წავიდი, მოსწავლეებს გვისვამდნენ კითხვებს სასკოლო საგნებიდან, ასევე, ამოწმებდნენ ჩვენს ზოგადი განათლების დონეს, ერთი თვის შემდეგ დაგვიკავშირდნენ და გვიმხარეს, რომ გავიმარჯვე და მოვიპოვე გადაცემაში მონაწილეობის უფლება. ჩვენს სტუმარს, ქალბატონ ნინო ანანაშვილს უსვამდნენ შეკითხვებს, ის კი ჩვენი დახმარებით სცემდა სწორ პასუხებს. ქალბატონმა ნინომ ბრძანა, მიხედა, ყველა ბავშვი აქტიურად ჩაერთოს ამ თამაშში, მე მათემატიკურ შეკითხვას უპასუხე, ქალბატონმა ნინომ 4000 ლარი მიიღო, მან არ ისურვა, გაეთამაშებინა ბოლო შეკითხვა გრამატიკის კატეგორიიდან. გადაცემის მონაწილენი დაგვასაჩუქრეს დიპლომებით, შემეცნებითი ხასიათის წიგნებით. ეს ჩემთვის მართლაც დაუვიწყარი დღე იქნება. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სკოლის მათემატიკის პედაგოგს, გულივერ მესხს, ასევე, სკოლის დირექტორს, ვენერა ივანიშვილს, რომელიც არის ჩემი ქართუ-



ლი ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დამრიგებელს – რუსუდან ღვა-
 ლს.
 ვენერა ივანიშვილი: "როცა გავიგე-
 რომ შეიძლება, გიორგი იქ მიეწვიათ, ძალიან ვუღელსებოდათ, გიორგის ძმა სანდროც ძალიან ნიჭიერია, უბრალოდ, ასაკმა არ შეუწყო ხელი, გადაცემაში რომ მიეღო მონაწილეობა, გიორგიმ ძალიან კარგად უპასუხა მათემატიკურ შეკითხვას, სტუმარს რომ გრამატიკის



შესადლებლობა მიეცათ საქართველოს საჯარო სკოლების მეექვსე კლასელებს, წარმოენათ თავიანთი შესადლებლობები, ყოფილიყვნენ კრეატიულები, თავდაჯერებულები, თავისუფლად მოაზროვნენ. მათ ამით აუმაღლეს მოტივაცია ბავშვებს. ჩვენივეს ეს იყო საუკეთესო შანსი, შეემოწმებინათ ბავშვებს თავიანთი უნარი და შესადლებლობები, მადლობა სკოლას, რომ ასე კარგად მოაზროვნე მოსწავლეებს ზრდის, იძლევა, მსგავსი შოუ კიდევ მრავალი იქნება და მეტი და მეტი მოსწავლე გამოცდის თავის ცოდნას მსგავს პროექტებში."

“იმ ღოჯს საქართველო იყა ხემათალო”

ნათია ნაცვლიძე

იმ დღიდან, რაც ახალგაზრდულმა ენერჯამ თუ სამოტივაციო მუსტმა ჩანწერი იხველა და საბჭოთა იდეოლოგიებს არ მისცა საშუალება, ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსი წაერთმიათ, 40 წელი გავიდა. სამტრედიის ქუჩებში მრავლად დადიან 1978 წლის 14 აპრილის აქციის მონაწილენი, დღეს უკვე იმ თაობის თავგანწირვა შეიღებებისა და შეიღიშვილებისათვის კეთილად მოსათხრობი ისტორიაა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტი დედაენის დღეს, 14 აპრილს შესანიშნავი კონფერენციითა და მხატვრული ღონისძიებით გამოეხმაურა. მოსწავლეებმა დეტალურად მოგვითხრეს ქართველი სტუდენტებისა და ქართული ინტელიგენციის მიერ მიღწეული დიდი გამარჯვების შესახებ.

ული ენის სიმბოლოდ... ენაში ერის ფსიქოლოგიაც გამოიხატება, თუ ერმა ენა დაივიწყა, ის ერი განწირულია დასაღუპად."
 მოსწავლეებმა ქართველ კლასიკოსთა ბრწყინვალე შემოქმედებიდან ენაზე დაწერილი საუკეთესო ლექსები შეკრიბეს

შემდეგ აბრაამის შთამომავლობას შემორჩა ჭეშმარიტი სარწმუნოება... ქართველები გამორჩეული ერი ვართ, წმინდა სამებას სამ ხმაში ვუგალობთ, შეინარჩუნეთ მართლმადიდებლობა და მრავალი ასეთი ლამაზი ღონისძიება შემოგვთავაზეთ."



და გაიხსენეს. ღონისძიება დაამშვენა ანსამბლმა "ჩანგმა" და მისმა ხელმძღვანელმა, პედაგოგმა მერი ტკეციკიამ. მოსწავლეებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდული პარლამენტის კურატორს, ელიო ანკვაბს, ამ პარლამენტის დიდ გულშემატყვიარს და მათთან ერთად არაერთი საინტერესო პროექტის განმხორციელებელს, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ნინო ტონიას, სკოლა ცოდნის პედაგოგს, ლეიზა მიქაუტაძეს და პედაგოგ ნატა ჯიქიას.

ნინო ტონია: "გილოცავთ დღევანდელ დღეს, ეს დღე ორმაგ შინაარსს ატარებს: ერთის მხრივ, სახიზარო ფაქტია ის, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი შევინარჩუნეთ, მეორე მხრივ, ვერძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ამ თარიღის მნიშვნელობა გვაკისრებს. მჯერა, კეთილი მარცვალი გადავიდება, წინაპრების კვალზე მომავალი თაობა ივლის, გისურვებთ, ღირსეულად ატაროთ ამ ერის შეიღების სახელი".

მამა რომანოზი (ნინუა): "მართლაც ძალიან ლამაზი და კარგი ღონისძიება იყო, შეგახსენებთ მეფე ნებროთმა, რომელიც ანტიქრისტიანული წინა სახე გახლდათ, მოიფიქრა ბაბილონის გოდოლის აგება და ამ საქმეში ყველამ მიიღო მონაწილეობა გარდა ერთისა, ეს იყო პატრიარქი ებერი. როგორც ბიბლია მოგვითხრობს, კომპის მშენებლებს უფალმა ენები აურიდა, მათ ერთმანეთის აღარ ესმოდათ და იძულებულნი გახდნენ, მშენებლობა შეესწავლიათ. ამის შემდეგ დედამიწის სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ და ერთმანეთს აღარადნენ, აუგებელ კომპს კი "ბაბილონი" ეწოდა, რაც ენათა აღრევას ნიშნავს. აღამაინთა დაშორება და სხვადასხვა მხარეს გაფანტვა უფალმა ინება იმის გამოც, რომ თუკი კაცობრიობის რამდენიმე ნაწილი განუდგებოდა უფალს და ჩაეარდებოდა მწვალებლობაში, ნაწილი მაინც შეინარჩუნებდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეს მართლაც ასე მოხდა. ებერის და



ის მაინც ბუნავს...

ბრუნავს და ბრუნავს ჩვენი ცოდვებით, უცოდინარობით თუ გამიზნულად გულნატკენი დედამიწა და, ღმერთმა ნუ ქნას, წამით შეჩერდეს, თორემ კატასტროფა სახეზე იქნება.
 "დედამიწა ჩვენი საერთო სახლია" – ამ სლოგანით არცთუ ხშირად ღონისძიებებს ჩვენი ბავშვობაშიც მართავდნენ, თუმცა მაშინ არც ამდენი სამშრობის წინაშე იდგა კაცობრიობა და, ასე თუ ისე, მეტი პასუხისმგებლობა იყენებ ადამიანები.
 დღეს კი, დღეს არ ვუფრთხილდებით გარემოს, ატმოსფეროს ათასგვარი ნავით ვაბინძურებთ, არც წყალსატკეპები, მდინარეები, ტბები, ზღვები და ოკეანეები და ვინდეთ და შედეგიც სახეზეა, ოღონდ საკვალალო, გამოუსწორებელიც კი.
 სულაც არაა საკმარისი, წელიწადში ერთჯერად ჩატარებული ღონისძიებებით და ვუმტკიცოთ ერთგულება და სიყვარული დედამიწას.
 23 აპრილს დედამიწის დღე აღინიშნება. გაგუფრთხილდეთ დედამიწას, რომელიც ჩვენი დაუდევრობის მიუხედავად მაინც ბრუნავს და ბრუნავს.



ლევან ბაგრაძე

თავისუფლება, სამახოციანობა და ხეაღობა

დღეს გავრცელებული მორალური აზრია, თავისუფლებამ კი არ მოგვიტანა ამდენი სიბინძურე, თავისუფლებამ გამოაჩინა ადამიანის ბუნებაში დამალული და დაგროვილი მახინჯი თვისებები.

დაახ, ადამიანის მესხიერება (დაწყებული გამოქვაბულიდან დღემდე) მრავალი არქეტიპულ ჩანასახს ატარებს, მაგრამ სწორედ ქვეყნად არსებული საზოგადოების ცხოვრების წესის შესაბამისად გამოვლინდება თითოეული მათგანი.

უფრო ფრთხილად უთქვამს ტოლსტოის: “ყოველი კაცი ადამიანური თვისებად ყველა ჩანასახს ატარებს, გარემოების შესაბამისად ხან ერთს გამოავლენს და ხან მეორეს, ზოგჯერ საერთოდ არ ჰკავს საკუთარ თავს”.

სპენსერი კი პირდაპირ მიუთითებს: “ხელისუფლების ვალია, კარგი, მაღალხეობრივი თვისებები განუვითაროს ერის ხასიათს”.

მართალია, თავისუფლება “პირველი სიკეთეა კაცისა”, თუმცა, “ერთის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება” და “ქვეყნად ადამიანი არ არსებობს, თავისუფლება რომ არ უნდოდეს. მხოლოდ სამართლიან ადამიანს ყველასათვის უნდა თავისუფლება, უსამართლოს კი – მარტო თავისთვის” (ლუდვიგ ბერნე, გერმანელი მწერალი 1786-1837).

რამდენი სიმბოლური წარმოსახვა არსებობს თავისუფლების, ადამიანის სულის შესახებ და რა ფართო დიაპაზონი აქვს ამ წარმოსახვებს, – პეპელა, ცხენი და ბოლოს, ღორი.

ალბათ, ყველა პერიოდს მისთვის დამახასიათებელი თავისუფლება აქვს – ადრეულ ხანაში თავისუფლება პეპლების სიცოცხლის მსგავსად, ხანმოკლე და მირაჟულია!!! შემდეგ პერიოდში – ცხენით მართული და შეუპოვარი (გავიხსენოთ ბარათაშვილის “მერანი”, გალაკტიონის “ლურჯა ცხენები” და მიცკევიჩის “ფარისი” და ბლოს ღორიც, რომელსაც ასევე თავისუფლების სიმბოლოდ აღიქვამენ, ალბათ, სალვადორ დალიმ, ამ ზედმიწევნით თავისუფლმა ადამიანმა, იქნებ იმიტომ აირჩია ფსევდონიმად “მწვანე ღორი”, რომ ადამიანის ღირობას მწვანე შუქი უნთია დღეს ჩვენს სამყაროში!

ნეტავ, როდის გვედრისება ის ღრო, როცა ძალა და თავისუფლება სამართლიანობის დასამკვიდრებლად გამოვლინდება მხოლოდ!!!

მართალია, მაინცდამაინც დიდი აზრის არ ვარ ჩვენს საზოგადოებაზე, მაგრამ, დამერწმუნეთ, თავად განვიცდი ამას. საზოგადოების გარეშე ქვეყანა არ არსებობს. საზოგადოების სიკვარვე განსაზღვრავს ქვეყნის კეთილდღეობას, საზოგადოების სიჯანსაღე განსაზღვრავს ხელისუფლების ხარისხს” (ოთარ ჭილაძე).

ამიტომ აუცილებლობად მიმაჩნია, განვმარტოთ, რა იდეოლოგიური სურათი იკვეთება ჩვენს რეალობაში და რა საფუძვლებზე ვითარდება დღეს ადამიანი!

დაახ, ჩვენთან ახლა ტიპური ეგზისტენციალიზმია. დაფიქსირდა ადამიანის ბიოლოგიური სახე, დაკნინებული ფსიქიკით. სამწუხაროდ, ეგზისტენციალიზმი ვერ განაპირობებს ადამიანის სულიერების ზრდას, მით უფრო, სოციალურ ფენათა ასე ძალზე არათანაბარი ცხოვრების პირობებში. პირიქით, ეგზისტენციალიზმმა გადმოაპირქვევა ადამიანი და მისი ყველა უარყოფითი თვისება ზედაპირზე ამოატივტივა!

მართალია, ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლებსა და მიმდევრებს: ჟან-პოლ სარტრის, კირკეგორს, ჰაიდეგერს, კამიუსა და სხვებს ჰქონდათ თავიანთი იდეალი და მორალური ღირებულებები, მაგრამ მათმა მცდელობამ ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც საზოგადოება მათგან ელოდა, რადგან ეგზისტენციალისტები არ ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ ამოწურავს ადამიანის სურვილებს! (მათ ნაწარმოებში, ზოგჯერ ამ გზით (თუ მართლა ღირობით) საკუთარი ქალიშვილის სარეცელადმდე კი მიდიან!).

სამაგიეროდ, საერთოდ ფარისევლობად მიიჩნევენ სარწმუნოებას (განსაკუთრებით კირკეგორი) და მის პრინციპებს. ამას ადამიანზე ძალდატანებას უწოდებდნენ. ეკლესიაში სიარულს სისულელედ, თვალთმაქცობად თვლიდნენ. მის საპირისპირო ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ და ბეკეტის გმირებით ახალი გოდოს, საგულისხმოდ, ახალი ღმერთის მოლოდინში იყვნენ.

ამ მოსაზრებას ბევრი მიმდევარი ჰყავს. მათ ავიწყდებათ, რომ თუ ნებისმიერ პროფესიასა თუ სპორტის ყველა სახეობას მრავალი წვრთნა, მეცადინეობა და ვარჯიში სჭირდება, რწმენასა და სულიერებას ლოცვის, მარხვისა და სულიერი გარჯის გარეშე როგორ გაამყარებენ?!

არ ვიცი, ახალი ველოსიპედი რამდენად უკეთესი გამოდის, მაგრამ “ეგზისტენციალიზმი არა მხოლოდ კლასიკურ იდეალიზმს უპირისპირდება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული აზროვნების ჰეგელისეულ თვალსაზრისსაც”. – ამბობს ზურაბ კაკაბაძე.

მათ თითქოს უფრო მისაწვდომი, ახალი ღირებულებების შექმნა უნდოდათ! ისინი ადამიანის თავისუფლებას, ინდივიდუალური ფიზიკური, ბიოლოგიური ბუნების გამოვლენისა და მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ხედავდნენ და ამას ქა-

დაგებდნენ კიდევ. მოთხოვნილებებს კი ყოველგვარი რელიგიური თუ კოლექტიური საზოგადოების კანონების გარეშე აყალიბებდნენ. ამის გამო მიენიჭა კიდევ ალბერტ კამიუს ნობელის პრემია და ამიტომ უწოდეს “დასავლეთის სინდისი”, რადგან ძალიან ბუნებრივად და გულწრფელად გამოხატავდა საკუთარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, სიამოვნებისკენ და ბედნიერებისკენ სწ-



რაფვას და ამის შესაბამისად, განმარტა კიდევ ზოგადად სინდისი! თუმცა, ძნელია დაასახელო ბედნიერებას მიღწეული მისი რომელიმე პერსონაჟი!

შესაბამისად, ასეთია ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებებით დაკავებული და უზრუნველი ცხოვრების მოყვარული ჩვენი დღევანდელი ადამიანისა და საზოგადოების საგულისხმო ნაწილის რეალური სახე, თავისი შედეგებით!

არადა, ადამიანი კოლექტივისა და საზოგადოების გარეშე ძალიან მარტოსულია, გარდა ამისა, – ადამიანში ღვთიური შემოქმედების დიდი პოტენციალია ჩადებული. ამიტომ, არ შეიძლება მისი ფიზიკური, ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სულიერი დაკნინების ხარჯზე წარიმართოს. მაშინ შეუძლებელი იქნება ადამიანურ საწყისში ჩვენი არსებობის გამართლება. ამ შემთხვევაში ადამიანი ღვთიური შემოქმედების უნარსაც დაკარგავს. ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს მეგლიც და ტურაც მშენებრად იმყოფილებს და ინდივიდუალობასაც ინარჩუნებს. ჩვენ ცხოველებისგან ძირითადად, სწორედ ჩვენი სულიერი ღვთიური შესაძლებლობებით განსხვავდებით!

– თან, სინდისი სულიერების გარეშე რთული წარმოსადგენია! გარდა ამისა, როგორ შეიძლება სულიერების დამკნინებელი რამ ღირებულებად ჩავთვალოთ და ადამიანური ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა რეალურ სინდისად?! სწორედ ასეთმა სინდისმა გახადა ადამიანი ძალიან მარტოსული და გადააქცია იგი დეპრესიულ არსებად!

მართალია, ეგზისტენციალისტე-

ბი მიიჩნევენ, რომ ადამიანის რეალური სახე და ღვთიური შესაძლებლობებიც თავისუფლების დროს გამოვლინდება, როცა არავეინ აძალეებს – ასე მოიქცეს თუ ისე! თუმცა, სად არის, მერე, ეს თავისუფლება? როდის იყო და ან არის ადამიანი თავისუფალი?

აი, თუნდაც, ეგზისტენციალურ რეალობაში, იგი ჭადრაკის ფიგურების მსგავსად, კაუზალურ რიგშია ჩა-



რთული და მისი ქმედებები გარემოების მხრივია განსაზღვრული (ზურაბ კაკაბაძე). ამიტომაც წუხს, ხან მარტოსულობით იტანჯება და ხან სუიციდით წყვეტს არსებობას. უჭირს ადამიანს, როცა ქვეყნის იდეოლოგია მას არ ეხმარება და კარგ თვისებებს არ აწვითარებს მასში. რეალურად ადამიანი სავესებით მოკლებულია თავისუფლებას, ანუ იგი თავისუფალია მხოლოდ ნაწილობრივ და ფარდობითად.

როდის, რა დროს გვაგებინებს პასუხს ჩვენს მიერ ჩადენილ შეცდომებზე, თუ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებებზე არასდროს ვიცით. ეს აბსოლუტური გონის, შემოქმედის გაკვივითაა კაცობრიობის მიმართ, ჩვენც მხოლოდ ასეთ ფორმატში შეგვიძლია არსებობა!

სამწუხაროდ, დღეს თანამედროვე ფსიქოლოგია სუპერ ეგოს-ს განიხილავს, როგორც უსარგებლო სტრუქტურას, რომელიც ავთენტური მე-თი იცვლება, რათა უფრო ადვილი, მარტივი იყოს ცხოვრება, მართალი იყოს ადამიანი თავის თავთან და დაემყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები... თითქოს ჩვენი ავთენტური მე ჯანმრთელ, გამთლიანებულ ცენტრს წარმოადგენს, ზედმეტი კლიშეების და აკრძალვების გარეშე, რომლებიც თურმე ართულეებს ცხოვრებას!

ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ადამიანები, როგორც ფიზიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისე ყოველი ადამიანის ეგო (ავთენტურს დაარქმევთ მას, თუ პატენტურს), განსხვავებულია და მერე როგორ – ვიდაცის შეიძლება ჯანმრთელია, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებები რამეთი თუ არ იქნება მითოიკილი, სანამდე მივაღწეოთ?!

თან ეს იგივეა, რომ ვივარაუდოთ და იმედი გვქონდეს, რომ ყველა ადამიანი კეთილშობილია, ყველა ქალი მერლინ მონროს მსგავსად მშვენიერია და ყველა მამაკაცი მამაცი და სუპერმენია. თუმცა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ რამდენი სადისტი, ავაზაკი, ბოროტმოქმედი არსებობს ქვეყნად! ჩვენ ყველანი სხვადასხვა ათვლის წერტილიდან მოვდივართ, საკუთარი გენეტიკური თუ კარმული მოცემულობით და ამის შესაბამისი ტორსული (სხეულებრივი) გამტარობით და შესაბამისი ქმედებით.

– ისიც ხომ ცნობილია, სუპერ ეგო ადამიანის სულიერი ცენზორი, ანუ – სინდისია. სინდისი კი, სხვადასხვა დიაპაზონით შემოღწეული ღმერთის ხმაა ადამიანში. ამიტომ, მავანისა და მავანის სინდისიც და სულიერებაც სხვადასხვა დონით ახშიანებს აბსოლუტური გონის ჭეშმარიტებას, ცოდნასა და ინფორმაციას. სუპერ ეგო, კანონისთვის დაფარული რეალობაში, კავშირი და მაკონტროლებელია ადამიანთან ურთიერთობაში და აწესრიგებს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ!

დაახ, დამკვიდრებული მორალური კანონებითა და კარგი ზნეობრივი მაგალითით ადამიანის სინდისისა და სულიერების აძლევდა შესაძლებელია. სწორედ სუპერ ეგოს განდევნამ გამოიწვია დასავლეთში და უკვე ჩვენთანაც ადამიანთა გაუცხობა, იზოლაცია, გახშირებული დეპრესიები და უამრავი უარყოფითი ემოციებით გამოწვეული ნარკომანია თუ სუიციზმი.

მართალია, ადამიანის რთული ენერგოსისტემა ენერჯის მუდმივობის კანონს ექვემდებარება, რომელიც ძირითადად ორ ინსტიქტურ მოთხოვნილებებში – სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტიქტებს შორის – ეროსსა და თანატოსში გამოვლინდება!

სამწუხაროდ, ეგზისტენციალიზმი და ძირითადად, თანამედროვე დასავლური ხელოვნება, გაცილებით ზშირად, მეორეს – თანატოსს უკმევს გუნდრუკს, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოველგვარი დესტრუქციული ქცევა – აგრესია, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ, საბოლოოდ კი – სიკვდილისკენ სწრაფვა! (გავიხსენოთ საშინელებათა ფილმები და სერიალები).

არადა, აქამდე მსოფლიოს კლასიკური ხელოვნების მთავარი და ძირითადი მუხა, სწორედ ეროსი გახლდათ, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებს – სიყვარულზე, გამრავლებაზე მიმართულ მოთხოვნილებებს აერთიანებდა... შეიძლება ითქვას, ეროსსა და თანატო-

სს შორის აუცილებელ ბრძოლას ასახავდა, მაგრამ მათ შორის საჭირო ბალანსს აწონასწორებდა! სწორედ ეს ბალანსია დღეს ძალიან დარღვეული. თან, ისიც ხომ მართალია, რომ ის, რაც სიცოცხლის ინსტინქტის – ეროსის, სიყვარულისა და გამრავლების საწინააღმდეგოა, დესტრუქციულია და აგრესიას, საბოლოოდ კი სიკვდილს განაპირობებს. არ შეიძლება ამ ბრძოლაში არჩევანი თანატოსზე გავაყუთოთ!

სწორედ ასე, თანდათან დაკარგა სიცოცხლის საზრისი ადამიანმა, რადგან, თითქმის ყველა თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობაში, სწორება სწორედ თანატოსზეა გაკეთებული. ხელოვნება კი საგულისხმოდ განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას. წინა საუკუნეებთან შედარებით რამდენადც გაიზარდა ადამიანის შესაძლებლობები, იმდენად მოიმატა სუიციდმა, დეპრესიამ, რადგან სოციალიზაციის პროცესია შეჩერებული და სოციალურად არასამართლებრივი ცხოვრების წესია დამკვიდრებული!

თან იმდენ აპოკალიფსურ ფილმს იღებენ და ცუდს წინასწარმეტყველებენ, თითქოს ცუდისკენ მიისწრაფვიან – არადა, ცუდის დაკვირება საშიშია. ადრეულ საუკუნეებში მეფეები ცუდი ამბის მომტანსა და გამჟღავნებლებს ხოცავდნენ (არაეინიფიქროს, იგივეს მოვიხილო). ჩვენ ჩაერთავეთ თუ არა ტელევიზორს, დედამიწის რომელ პოლუსზე რამდენი კაცი მოკლეს, ყველაფერი დიდად რიანად უნდა გაეყოთ და დღის ბოლომდე უნდა ვისმინოთ... იმ ლოგიკით, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ცხოვრობთ, დედამიწა ჩვენი მისამართია!

გვანსოვდეს, ადამიანს განსაზღვრული შესაძლებლობა აქვს უარყოფითი ემოციისა თუ ინფორმაციის მიღების და მისი სწორი ანალიზის, ზღვარს იქეთ ეს მიმდებარე ცვდება და ანალიზიც არაადეკვატური ხდება. ეს ეტყობა კიდევ ჩვენს ცხოვრებას!

გლობალიზაციას კატასტროფების თავიდან ასაცილებლად აქვს აზრი. არადა, კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი არსებული ეკონომიკური კონკურენციის გამო გაეროს ეკოლოგიურ კონვენციებს ბევრი დიდი სახელმწიფო ვედარ ითვალისწინებს! პატარა ერებმაც საკუთარი ინდივიდუალობა არ უნდა დაკარგოს, რათა თავისი ღვთიური მისია გაააზროს და ადასრულოს, რომ არ გადაშენდეს. ამჟამა ბაბილონის გოდოლის მთავარი სათქმელი. საფრთხე ნამდვილად არსებობს, მით უფრო, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს დიდი მიზიდულობა აქვს საფრთხის მიმართ, რაც კიდევ უფრო ზრდის საშიშროებას! ამის შესახებ მაიას ტომების წინასწარმეტყველებასაც იშველიებენ.

აბსურდულია მოსაზრება, თითქოს, დასავლური ღირებულებების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი ისიც არის, რომ თავისუფალმა ადამიანმა თავად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების წესი, რადგან ადამიანები, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო სოციალური ფენის, თავად ვერ განსაზღვრავენ საკუთარი ცხოვრების წესს. ამას თითქმის მთელ მსოფლიოში კარნახობენ გარკვეული წრ-

ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ სიმდიდრეს. ისინი ღია საზოგადოების კანონებით ებრძვიან სარწმუნოებას, სოციალიზაციას და ეროვნულ ინდივიდუალობას. არადა, სწორედ იმ ინსტიტუტების საშუალებით ყალიბდებოდა, საუკუნეების განმავლობაში, ველური ადამიანი მორალურ ადამიანად.

გარდა ამისა, სოციალიზმის პრინციპების გარეშე, ბევრი თანამედროვე პროდუქტი და ტექნოლოგია მიუღწეველია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. სწორედ ასე ირღვევა ჰარმონიული კავშირი გასაღების ბაზრის, ადამიანის მოთხოვნილებების, შესაძლებლობასა და სინდისს შორის, რაც აგრესიულს და დეპრესიულს ხდის სამყაროსა და ადამიანს!

ამიტომ ჰკავს ქრისტიანობა და სოციალიზმი ერთმანეთს და ამიტომაც ავიდა ჯვარზე იესო, რომ ამ ქვეყნად ცხოვრება საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი!

კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ, სოციალურ დარეინინგში ადამიანი ძალიან დაუცველია. კონკურენცია, ანუ სოციალური სელექცია ჩვენი ცხოვრების წესის საფუძველს ნამდვილად არ უნდა წარმოადგენდეს!

დარწმუნებული ვარ, ბევრი დამეთანხმება: არ შეიძლება ადამიანს, მუდამ მგელივით მსხვერპლის დევნაში ძვრებოდეს სული. თან, სამწუხაროდ, იგი თუ მგლობას ისწავლის, მერე მგელზე უარესიც ხდება. ადამიანებთან სხვაგვარად არის საქმე და შესაბამისი კანონებით გვჭირდება დაცვა!

არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ ყველა დროში ყოველთვის არსებობს აზრი, იდეა, რომელსაც არა ერთხელ, არა ერთგვარად და არა ერთგან ხელახლა სჭირდება “ადმოჩენა”. ეს იდეა დღეს სოციალიზმია. სწორედ მემარცხენე პლატფორმის იენორირების გამოძახილია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც და გამოსავალიც სწორედ მასშია!

ცხადია, თანამედროვე ევრო-სოციალიზმზე ვლადპარაკობ, რომელიც კაპიტალიზმის დადებით მახასიათებლებსაც მოიცავს.

შეიძლება ამიტომ წერდა ბოსიუეტი (გამოჩენილი ფრანგი ორატორი მე-18 საუკუნე): “ჰემარატი თავისუფლება ის არის, როცა კერძო სარგებლობა საზოგადო სარგებლობას ექვემდებარება”. აუცილებელი შესაძლებლობების გარეშე თავისუფლება ვერ იარსებებს.

ამავე დროს, ყველა ადამიანი გმირი ვერ იქნება, თავისი ღირსებების დასაცავად სიკვდილამდე რომ იბრძოდეს. ამიტომ, მხოლოდ ის საზოგადოება თავისუფალი, სადაც ადამიანს თავისუფალი ნება აქვს დაცვას საკუთარი ღირსება და კეთილშობილება, შეუძლია იცხოვროს უფლის კანონებით, აყუთოს სიკეთე და არსებობის გასაგრძელებლად უფლის კანონების დარღვევა, მძათა ღალატი, ბორბლების ჩადენა არ დასჭირდება. ვისაც თავად შეუძლია ჰქონდეს საკუთარი აზრი და არ უნდა უხდებოდეს სხვისი აზრის გამოერება და დამორჩილება, როდესაც ეს ნათქვამი არ ესმის, ან არ ეთანხმება!

მს. სანაგულეძე ვახტანგისძე

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის საგაზაფხულო რეგისტრაციის დაიწყო

განათლების მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასი) დასრულების შემდეგ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწლიურად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე აცხადებს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველთა რეგისტრაციას. 2018 წლის საგაზაფხულო მიღება დაიწყო 10 აპრილს და გაგრძელდება 22 აპრილის ჩათვლით;

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოქმედ რესურსცენტრებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმასრვლებელ სახელმწიფო დაწესებულებებში და ონლაინ. რეგისტრაციის დროს მსურველმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

რეგისტრაციის ორი ფორმა არსებობს: პირველადი საფეხურის რეგისტრაცია (პირი, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას იწყებს პირველად), იწარმოებს vet.emis.ge-ზე და შემდგომი საფეხურის რეგისტრაცია (პირი, რომელიც სწავლას აგრძელებს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე) იწარმოებს evet.emis.ge-ზე;

აუცილებელია და სავალდებულოა რეგისტრატორმა აპლიკანტს გააკეთებინოს ერთზე მეტი არჩევანი;

რეგისტრაცია წარმოადგენს პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის წინაპირობას, როლის გავლის შემდგომ, საწყის საფეხურზე სწავლის დასაწყებად, აპლიკანტმა უნდა გაააროს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება. ტესტირების მიზანია დადგინდეს სწავლის მსურველის პროფესიული უნარების შესაბამისობა მათ მიერ შერჩეულ პროფესიასთან. ტესტირების ნიმუშები იხილეთ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე naec.ge და vet.emis.ge-ზე;

რეგისტრატორი აფრთხილებს აპლიკანტს, რომ ტესტირების გავლის შემდეგ, საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნის მომენტში, მას აუცილებელია წესრიგში ჰქონდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია (პირადობის მოწმობა, ატესტატის ან დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი საჭიროების შემთხვევაში (მინიმუმ საბაზო განათლების ატესტატი (9 კლასი), ან პროგრამის მოთხოვნის შემთხვევაში, სრული ზოგადი განათლების ატესტატი (12 კლასი), 2 ფოტოსურათი და განცხადება), წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეიძლება სწავლის დაწყებას.

2018 წლის საგაზაფხულო მიღებაზე აპლიკანტს ისევ საშუალება აქვს დარეგისტრირდეს ონლაინ. ონლაინ რეგისტრაცია იწარმოებს მხოლოდ პირველადი

და საფეხურისათვის.

რეგისტრატორმა მნიშვნელოვანია დააზუსტოს, ხომ არ აქვს აპლიკანტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და დადებით პასუხის შემთხვევაში, მონიშნოს შესაბამისი ველი სპეციალურ პროგრამაში;

პირველადი საფეხურისათვის აპლიკანტზე მონაცემების შეგროვების შემდეგ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა თითოეულ აპლიკანტს უგზავნის შეტყობინებას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, თუ სად უნდა მივიდეს დარეგისტრირებული აპლიკანტი, სადაც თითოეულ აპლიკანტზე გაიცემა მოსაწვევი, რომელშიც მითითებულია საგამოცდო ცენტრი, სადაც ის აბარებს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას. იქვე მითითებულია ჩასაბარებელი ტესტების საგანთა ჯგუფები, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო; ტესტის ნიმუშები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.naec.ge.

შემდგომ საფეხურზე გადასასვლელი ტესტირება ტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად;

ტესტირებაზე გამოცხადების დროს, აპლიკანტი ვალდებულია თან იქონიოს დაბადების/პირადობის მოწმობა და ცენტრის მიერ გაცემული მოსაწვევი (პირველადი საფეხურისათვის);

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ტესტირების საფუძველზე ვერ ჩაირიცხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, უფლება აქვს, ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მიღებული ქულა შეინახოს და გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ ცენტრის მიერ ორგანიზებულ შემდგომ ტესტირებაზე. ქულის შენახვის მიზნით აპლიკანტი ონლაინ ან სარეგისტრაციო ცენტრის საშუალებით რეგისტრირდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში (vet.emis.ge). აცხადებს შესაბამის ველებს: პირადი ნომერი, სახელი, გვარი, ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, განათლება, საგამოცდო ქალაქი, ტესტირების ენა, სტატუსი, ქულის შენახვისთვის ეცნობა შესაბამის შეტყობინებას და შეტყობინების გაცნობის შემდეგ, თუ სურვილი აქვს სპეციალური დილაგის საშუალებით აფიქსირებს ქულის შენახვას.

შენიშვნა: ონლაინ რეგისტრაციის დროს თვითონ აპლიკანტი ეცნობა, ხოლო სარეგისტრაციო ცენტრში რეგისტრაციის დროს რეგისტრატორი აცნობს შემდეგ შეტყობინებას:

შეტყობინება
აპლიკანტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაზე და სცადოს გააუმჯობესოს წინა ტესტირებაზე მიღებული შედეგები. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მხოლოდ განმეორებითი ტესტირების დროს მიღებული შედეგები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უფრო დაბალია, ვიდრე ადრე მიღებული შედეგები.

ქულის შენახვის შემდეგ აპლიკანტს ეძლევა საშუალება აირჩიოს მხოლოდ ჩაბარებული საგნის/სავა-

ნთა ჯგუფის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

სიახლე – პროფესიული ტესტირების შემდეგ გარკვეული ვადის ფარგლებში აპლიკანტს საშუალება ეძლევა სარეგისტრაციო განცხადებაში შეცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საბოლოო რეიტინგული ჩამონათვალი, ასევე, შეუძლია ჩასაბარებელი საგნების მიხედვით დაამატოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულებები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომელიც/რომლებიც მანამდე არ ჰქონდა არჩეული.

რეგისტრაციის დროს გთხოვთ ინფორმაცია მიწოდოთ აპლიკანტებს იმის შესახებ, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ორგანიზებული გამოცდა არის ფასიანი, (შიდა გამოცდის ფასია 55 ლარი), რომელიც ჩატარდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდამდე;

სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა მიღებას განახორციელებს ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “ზეინკალ-სანტექნიკოსი”. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შემოსხენებული სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომითან ერთად გასცემს სრული საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

სარეგისტრაციო ბაზაში განთავსდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმასრვლებელი დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სასწავლო გრაფიკი.

სიახლე – წელს პირველად მიღებას აცხადებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – ააიპ სარეინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, სამ დუალური მიდგომით დანერგილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

რეინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა;

რეინიგზის ლიანდაგის მშენებლობა;

რეინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი.

წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული ფაკულტეტზე ჩარიცხული სტუდენტები, სურვილის შემთხვევაში სწავლებას განაგრძობენ სამტრედიის დიდი ჯიხაშის ნ. ნეკოლაძის სახელობის კოლეჯში, ტრაქტორისტ მექანიკის სპეციალობაზე ჩასაბარებელი საგნების შექანიურ სივრცითი უნარების ტესტი და ასევე ტესტი მათემატიკაში. ტესტირებამდე აპლიკანტები გაევილიან პრეტესტს.

ქლიზა ცხმირაკაშვილი
საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამსახურის ხელმძღვანელი

P. S. 21-22 აპრილს დასვენების დღეების მიუხედავად რეგისტრაცია რესურსცენტრში იწარმოებს.

ლიზან გაგინაძე

პროფესიონალი იყო გიორგი

აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, მოსწავლეები, აბიტურიენტები, არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, განათლებას. მოდის ყველა, ვინც წიგნთან მეგობრობს, ვისაც მეტი სურს შეიტყოს მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის, ხელოვნების... სფეროებში.

მოდის და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც საოცარი მოყვარულებით, საქმისადმი სიყვარულით ემსახურებიან თითოეულს.

აპრილის ბოლოს საქართველოში "ბიბლიოთეკარის დღე" აღინიშნება, ამდენად, გადავწყვიტეთ, უფრო ჩავახედოთ აქაურ "სამზარეულოში" ისინი, იშვიათად რომ სტუმრობენ ბიბლიოთეკებს.

გაერთიანებაში 9 ბიბლიოთეკაა, 119 499 წიგნადი ფონდით. მაქსიმალურად ვცდილობთ, უკმაყოფილო არავინ დაგვრჩეს, შეძლებისდაგვარად ხდება ახალი წიგნების შექენა.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთია გამოწერილი, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით გაერთიანებაში შემაგულ ბიბლიოთეკებზე, მათ წლის მანძილზე მხოლოდ ერთ ახალ წიგნს თუ შევუძენთ, რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, თანხების სიმცირის გამო ადგილობრივი გაზეთის, "სამტრედიის მაგნიტს", გარდა მათ არც ერთი გაზეთი და ჟურნალი არა აქვთ გამოწერილი.

გაწეულ შრომასთან, დახარჯულ ენერჯიასთან შედარებით ბიბლიოთეკარებისა თუ სხვა თანამშრომლების ხელფასები მცირეა, გვეუბნებიან საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ლამარა ღუნდუა და მისი მოადგილე მზია ჩიხლაძე.

მოწინავე, აქტიური ქალბატონების დასახელება უკვირთ ხელმძღვანელებს, რამეთუ აქ ყველანი პასუხისმგებელია არაა.

საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება მხოლოდ ორ თანამშრომელს აქვს მინიჭებული, ამჟამად წოდებების მინიჭების

თაობაზე არც მოთხოვნაა ზემოდან და შესაბამისად, არც წარდგენა ხდება ადგილებიდან, არადა, უნდა ითქვას, რომ ეს წოდება ალალი იქნება ქალბატონების: ანუკრა კრავიშვილის, ნანა გვეგუაძის, რუსუდან კახიანის, მარინა ჩხაიძის, მალვინა თაგაძის, ქეთევან ნიკურაძის, ნანა გიორგიშვილის, ლეილა ომანაძის, მზია ლორიას და იმათთვის, უკვე ათეული წელი რომ ემსახურებიან საყვარელ საქმეს.

ცენტრალური ბიბლიოთეკა თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, რაც აქ გამართულ შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებებისას სრულადაა გამოყენებული.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღე-აწლამოსილ კოლეგებს ჩინებულად უწყობს ფეხს ახალგაზრდა თანამშრომელი, საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იზაბელა ლევაშვილი, რომელიც საოცარი აქტიურობით გამოირჩევა.

აწყო წარსულის გარეშე არ არსებობს და სევედით, სიბოროტი იკონებენ საბიბლიოთეკო გაერთიანების მესვეურნი



უფროს კოლეგებს, დიდი ხანია, რომ არ არიან ამქვეყნად, ბევრი არიან ისინი: თინა ჭახანაია, ლენა შანიძე, ვენერა ჩიგოგიძე, ნინა საყვარელიძე, თამარ ჩხიკვაძე, ნინა ნიკურაძე, მარგო ხაყალია, ლია კამკამიძე და სხვები.

... შუადღეა, სამკითხველო დარბაზში ტევა არაა, როგორც ვთქვით, ყველა თა-



ობის მკითხველს შევხვდებით აქ. ჩვენც ვისარგებლეთ და რამდენიმეს გავესაუბრეთ: კომპიუტერის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ წიგნი და ბიბლიოთეკა შეუცვლელია, განა, წიგნიერმა კაცმა არ შექმნა კომპიუტერი?! უწინდელ წარმოუდგენელია ვიარსებო. _ გვითხრა ბატონმა გიამიძემ, ეკონომისტი კაცი ბიბლი-

ოთეკის ყოველდღიური სტუმარია.

ბატონი, ბიბლიოთეკა... აქედან მოდის სულიერება... _ ხშირად იცის ამ ფრაზის გამოხატვა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა, ნიკო ლორთქიფანიძის ლიტერატურული პრემიის ლაურეატმა თეიმურაზ ჯუღაყიძემ.

ახალგაზრდები, აბიტურიენტები არიან მარამ ქათამაძე, ნაბაკეის, სოფიო რუხაძე, ჩხენიშის, ლალი ლევაძე, დიდი ჯიხანიძის № 1 საჯარო სკოლების მეთორმეტე კლასელები და სხვები ცოდნის შესაძენად აქ რომ ხშირად ნახავთ. ბიბლიოთეკას ყოველდღიურად საათობით სტუმრობენ ისინი და დამატებითი ცოდნის შესაძენად მყუდრო ადგილს სკოლის შემდეგ აქ პოულობენ.

ბატონები: სოსო ღუნდუა, რაულ ხუჭუა, გია ბოჭორიშვილი, ჯუმბერ ჩხაიძე, იური ჩაჩუა, ბორის ფოცხვერაშვილი, ქალბატონები: მაყვალა ფრანგიშვილი, იზა სანიკიძე... ერთი სიტყვით, ჩვენი რაიონის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთათვის დიდი ხანია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა მშობლიურ კერადაა ქვეყული.

აქ მათ ისე ელიან, როგორც საყუთარ ოჯახში.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა წლების წინ ავად დაადგეს თვალი ბიბლიოთეკას, ჯერ გატანა დაუპირეს, შემდეგ კი, ალბათ...

თუმცა, ფეხზე დადგა ინტელიგენცია, მაშინ ხმა აღიმალეს ბატონებმა: შალვა გოგავამ, ანზორ გრიგოლიამ, ოთარ შანიძემ, სოსო ხაყალიამ, გენო გეგეშიძემ... და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

თუ დღეს სამტრედიის საბიბლიოთეკო გაერთიანება ჩინებულად უწყობს ფეხს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს, რაზედაც მკითხველთა არნახული რაოდენობა (6689 კაცი) მეტყველებს, დიდა ადგილობრივი ხელისუფლებას წვლილი, თუმცა სოფლებში ბიბლიოთეკების ადგილის აუცილებლობის საკითხი მაინც მოსაგვარებელია.

ამ დღეებში პროფესიულ დღეს აღნიშნავენ ქართველი ბიბლიოთეკარები, ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ მათ საპატიო და კეთილშობილური მისიის შესრულების საქმეში.

წიგნმა იყის, წიგნმა მიიხრა

ნათია ნაცვლიძე

ეს სახელწოდებაა იმ ულამაზესი ღონისძიების, პირველი საჯარო სკოლაში რომ გაიმართა. ის, რასაც უზემუდ მაკულატურას ვეძახით, სკოლის მესამე კლასის დამრიგებელმა, ნონა ჯინჭარაძემ შესანიშნავ რესურსად აქცია. მშობლების ფანტაზია, პატარების მარჯვე ხელები და... წიგნის ფურცლებით აინიშნული სამოსიც მზად იყო... სასკოლო დარბაზში წიგნის ფურცლებით, შავ-თეთრ ფერებში მოირთო. ვოგონებს _ პეპლებს ფრთები წიგნისა აქვთ, იდეაშიც ხომ ასეა _ პოეტისა არ იყოს, "შენ წიგნები შეიყვარე გულით და ისინი აგაფრენენ მაღლა!"



ამ ღონისძიებით ბავშვები დედაწიგნის კვირულს გამოეხმაურნენ. სცენარიც ორიგინალური იყო, თხა და გიგოს თანხლებით. ღონისძიების დასაწყისში გიგო დედაწიგნს მოისვრის, მაგრამ მეგობრების დახმარებითა და შეგონებების წყალობით, ბოლოს ისევე გულში ჩაიკრავს წიგნის უსასრულო შესაძლებლობებში დარწმუნებული.

ინდიგო თაობას ინფორმაციის კომპიუტერში მოძიება უჯობს, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით საჭიროა ამ დროს პედაგოგთა ძალისხმევა, რომ ბავშვები წიგნებისაკენ მოახვედოს, წიგნის უპირატესობაში დასარწმუნებლად კარგი არგუმენტები შესთავაზოს. მსგავსი ღონისძიებები სწორედ ამ იდეის გამარჯვებას ემსახურება. _ არ შემინდვ გიგო, მენდვ, მე გიმეგზურებ წიგნის ამ ჯადოსნურ სამყაროში. ერთ ბრძენს ჰკითხეს: რა განსხვავებაა წიგნისა და უწყინურ ადამიანს შორისო? მან უპასუხა, ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცოცხალსა და მკვდარს შორისო _ აი, ასე დაარწმუნა გიგო მეგობარმა. პატარებმა ასეთი სცენაც გაითამაშეს: ავად გახდა ათიანი, სიზარმაცე შეეპარა და ექიმის დანიშნულება ასეთია: მას მხოლოდ წიგნის კითხვა მოარჩენს. პატარების თქმით, წიგნი განიცდის პარტონის გაუნათლებლობას და ამყოფს ნაკითხი მფლობელით. თანაც, წიგნი გვაფრთხილებს: ისე მომარე, რომ შენს უმცროს მეგობარსაც ვემსახურო გაის-



ადაცო. ასე შენივთდა წიგნის გარშემო ბევრი გამოთქმა, სიმღერა, ცეკვა, ლექსი... ყველაფერი წიგნის სამსახურში ჩადგა და წიგნის სიყვარულით დაიმუხტა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის წამყვანი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: "დღევანდელმა დღემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დიდ შრომასთან არის დაკავშირებული ეს მორთულობა და გაფორმება, დედაწიგნი ჩვენი საგანმანათლებლო და მისი სიწმინდეს რომ უნდა გავუფრთხილოთ, ამ პატარებმა ამაში შესანიშნავად დაგვარწმუნეს. სისხლსა და ხორცში უნდა გავიჯდეთ ენის სიყვარული, უნდა გვექცეს კულტურად. მინდა, ეს ღონისძიება სკოლის ფარგლებს გასცდეს და ეს სილამაზე მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხ-

ვემაც ნახონ. მაღლობა სკოლას და დირექტორს, რომელიც მსგავს ინიციატივებს მუდამ მხარს უჭერენ. მაღლობა შესანიშნავ პედაგოგს, ნონა ჯინჭარაძეს, ქედს ვიხრი თქვენი ნიჭიერების წინაშე".

სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე: "მაღლობა თქვენ, ვინც ეს ლამაზი ღონისძიება მოამზადეთ, ეს მართლაც დიდი შრომის შედეგია და ბევრის დამტკიცა".

ლილი ფხაკაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურიისტი: "მაღლობა ამ შესანიშნავი, ორიგინალური გადაწყვეტისათვის, ამ ახალგაზრდების შემყურემ დღეს მართლაც ვიგრძენი, რომ რაც სიტყვებით გადმოგვცეს, ის შინაგანად აქვთ გააზრებული და მათი გულებიდან მოდის."

ქალიანაც ნუ იქნებით უცხო ენითა გართული

ნათია ნაცვლიძე

ჩემი ბაბუა იხსენებს, რომ ართმეველენ ენას და სტუდენტები უნივერსიტეტის კიბეებთან დასხდნენ... მოდი, აქ ჩამოვჯექი... ზოდა, მაინც რომ ურევ? ტაფა, სპიჩა, პოლი... ორი ბიჭის დალოცით, ასეთი პერფორმანსით დაიწყეს მეოთხე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მერე ტრადიციულად, ბაღის მმართველი, ღონისძიებათა სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე ნანა დუნდუა გამოჩნდა სცენაზე და უფრო კარგად განუმარტა პატარებს ენის როლი და მნიშვნელობა. ეს საინტერესო ღონისძიება მმართველთან ერთად ბაღის მეთოდისტებმა: მარინა ბაღდავაძემ, მარინა ქოჩივაძემ, აღმზრდელებმა ნანა ლეკვეიშვილმა, გულბოხუამ, მარინა კაკაბაძემ, მაკა ჯანელიძემ, ნინო რუხაძემ და მუსიკის პედაგოგმა, ლელა გოლიაძემ მოაზრდეს.

შინაარსობრივ მხარეს ღონისძიებას სცენო დეკორაციებიც ერწყმოდა, თხა აქ იყო აკობის "დედაენიდან" და გიგოც, სცენის შუაგულში კი უბერებელი "დედაენა" გადაეშალა, მოდგმიდან მოდგმას რომ გადაეცემა მისი შრიალი. პატარები სხარტი, დახვეწილი და სცენისათვის საჭირო დამაჯერებლობით წარმოსთქვამდნენ თითოეულ სიტყვას. საინტერესოდ წარმართეს დიალოგები, უძღერეს და ლექსები მიუძღვნეს იმ "დედაენას", რომელსაც ძალიან ძალე პაწაწინა თითებით გადამღიან სამყაროს შესამეცნებლად. უკვე იცან ამ პატარებმა, რომ ის სათუთად ხელისხელსა-გოგმანებელი წიგნია, მშვიდისათვის პურია და მწყურვალისათვის წყალი. "შე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა

ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს..." ძალიანაც ნუ გაერთობით უცხო ენით, არ დაამცროთ მშობლიური ენა და წარსული, ერთუთოს მიმართეს პატარებმა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გაგუა: "გილოცავთ, პატარებო, "დედაენის დღეს", ჩვენ, ქართველებს, სისხლსა და ზორცში გვაქვს გამჯდარი ენის, მამულის და სარწმუნოების სიყვარული, მჯერა, პატარებო, წინაპრების გზის დირსეული გამგრძელებლები იქნებით, უღრმესი მადლობა მთელ კოლექტივს ამ ღამის და საინტერესო დღისათვის."

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე მარინა შენგელაია: "ძალიან მისხარია, რომ ასეთ ღამეს ღონისძიებას ვესწრები, სასიხარულოა, რომ ჩვენი პატარები გაიხრდებიან პატრიოტული სულიკვეთებით. მადლობა ყველას, ბავშვებს, პედაგოგებს,

მმართველს, მშობლებს."

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების შესყიდვების კოორდინატორი ქეთევან ივანიშვილი: "სრულიად საქართველო ზეიმობს ყველა ქართველისათვის უდიდეს დღეს, "დედაენის დღეს", მადლობა ქალბატონ ნანას და ყველა აღმზრდელს ასეთი ღამის ღონისძიებისათვის, იმისათვის, რომ დედაენისა და სამშობლოს სიყვარულს აქედანვე გაზიარებენ, მჯერა, თითოეული თქვენგანი მოუფრთხილდება ენას და მამულს, თქვენი სიხარული მომავლის ხელში ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და გაბრწყინებული იქნება, არ არის ბევრი ქვეყანა, სადაც საყუთარი ენის დღესასწაულს ზეიმობენ. მოგიწოდებთ, მოუვართ და შთამომავლობას გადაეცეთ საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავენი ჩვენი მშობლიური ენა". ბაღის მმართველს და აღმზრდელებს მშობლების სახელით მადლობა გადაუხადა სოფიკო კორძაძემ.



სამხელმოქმედო საღამო უმუშევარი მარიათისთვის

ნათია ნაცვლიძე

სამი წლის უმუშევარი და უღამაზე მარია გვეყნადის დასახმარებლად, რომელსაც რთული დიაგნოზი დაუსვეს, ეროსი მანჯალაძის სახელობის კულტურის ცენტრში კონცერტი გაიმართა. საქველმოქმედო კონცერტი ოჯახის წევრების ინიციატივით დაიგეგმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დარბაზი დაუთმო. გამგეობა ოჯახს ასევე დაეხმარა ბილეთების რეაღმაციაში, გასწავლია აგრეთვე, მარიათის მამის საბანკო ანგარიშში, სადაც თანხა ჩარიცხეს მსურველებმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა "მეტეხმა" და "ბაბილონმა", ჯერონიმომ. ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. საღამოს წამყვანი არაერთი საქველმოქმედო აქციის ინიციატორი, შოუ-ბალეტ "ფანტაზიას" ხელმძღვანელი, ქრისტინე ზაქარაძე იყო. "ფანტაზიას" რამდენიმე თაობის მოცეკვავეებმა საუკეთესო ქორეოგრაფიული ნიმუშები წარმოადგინეს. დარბაზში იდგა ყულაბა, მსურველებს შეეძლოთ ქველმოქმედების მიზნით თანხის გაღება. ვუსურვებთ პატარა მარიათს ძალე გამოჯანმრთელებას და ბედნიერ სიცოცხლეს.



ახალი საბავშვო ლექსები


საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნება აპრილში ყოველწლიურად. მრავალფეროვანი ღონისძიებები ეწყობა თარიღთან დაკავშირებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

პოეტი, პედაგოგი ილია ლეკვეიშვილი, რომელიც თავდავიწყებითაა შეგვარებული ახალგაზრდებზე, ცეროდენებზე, თბილ, წრფელი გულით ნათქვამ სტრიქონებს უხვად უძღვნის მათ და სამშობლოს სიყვარულის-აყენ, კაცურკაცობისაყენ, მადალი იდეალებისაყენ მოუწოდებს.

სასიამოვნოა ისიც, რომ ამ ბოლო ზანებში საჯარო სკოლებსა თუ სკოლამდელ დაწესებულებებში გამართულ ღონისძიებებზეც არაერთხელ მოვისმინეთ პოეტის ლექსები...

ახალი საბავშვო ლექსებით ეხმარება ამჯერადაც ბატონი ილია პატარებს.

ლევან ბაბუნაძე



მადლიანი

ვთქვით და ბებო ბოსტანში საქმიანობს ადრიან, მეც რომ გვერდით ვუღდავარ, დედა ამბობს: - "მადლია". როცა შენზე პატარა ჭიდან ვერ წევს ბადას, წყალი რომ ამოულო, დედა ამბობს: - "მადლია!" მოხუცსა და დავრდომილს, თუკი რამ გაბადა, ვაშლიც რომ მიაწოდო, დედა ამბობს: - "მადლია!" გზად ჩამომჯდარ დადილ მგზავრს, ქუჩას რომ გადაიარს, ჭიქა წყალი დაუსხა, დედა ამბობს: "მადლია!" სიხარმავე შორს არი ჩემგან, ხედავთ, ცხადია, მუდამ მხიარული ვარ, ვერვინ მხახავს დარდიანს. ეს მიტომ, რომ სიყვითე მისი დანაბადა, კეთილისა ქნა ქვეყნად უდიდესი მადლია. რადგან უკვე მეც ვხვდები, რა ცოდვა, რა მადლია, ამიტომაც სახელად მეძახიან მადლიანს.

ნაცვარა დედალზე

გადაურენილბარ ბოსტანში, (მურაც უნდბა კოტრიას) პომიდორი და კიტრები სუყველა დაგიორტნა - გიქქია და გითხრია, სად არი ცოდვა-ბრაღია, მტვრად გიქქევია ნათესი, ძალივით გიბურხალია. ჩემი და ბებოს ნაშრომზე, თუ გული სულაც არ გტკივა, თავს მაინც გაფრთხილებდი, რად ვერა ხვდები, ცალტვიანე. მე ვინაც არ დამიჯერებს, იცოდე, დმერთი შერისხავს, ახი არი, რომ დაგაჭრან კლანჭებიცა და ფრთებიცა.

სოფლის პრით დღე

უღაშეში ედიმება უისოს, მიდი, მურია! ჩემი ხელაც არ არი და რამოდენა გული აქვს!.. მიმდგარა და ხარებს უყვეფს, ხარი ზედაც არ ხედავს, წევს განცხრომით და ცალ თვალით უთვალთვალავს სახედარს. აბა, ვირი რის ვირია, ერთხელ თუ არ ივირა, მულო, - წყნარად მიახმუკლებს, იყვირო, მიდი, რა?

ელიმება ხარს ჩოჩორზე, ფისოს მურას ქვეყანზე, დილიდანვე კი თვალს აქვს რეზის სულ გაქვეყანზე. ბურთის აგორებს წამდაუწუმ, წიენი? - წიენი მოიცდის! ელოდება მოუთმენლად ტოლებს საღამოსთვის... უკვე დროა, მზე დადილი, მუხის ჩრდილში ისვენებს, რეზიც ბებოს დასანახად რამეს მოიმინებებს.

ციხრის ზარაზი

სად მიფრენ, მხამზო, გულკეთილო და თბილო, რადაც სათქმელი აქვს მგონი, დილიდან მოგდევს ილო... ჩამოსივენე ცოტა ხნით, ჩვენს ბანზე ან ბლის ტოტზე, გულს კი ნუ დაწვეტ პატარას, გაფიცებ ანგელოზებს. იმად ვიჩქარი, პატარავ, და ნურც ვინ დაიხარებს, დილით რომ დროზე მოვიდე, ცისურის ჩამოვკრა ზარებს. საწოლში რომ არ მოვისწროთ, ილიონა ხარ თუ ილო... და თქვენაც თანატოლებთან თავი არ შეიცხებინოთ.

ლევან ბაბუნაძე

იხილეთ ჩვენი მიხედვით აქცია



20 წლის წინ ამ სათაურით გავკეთეთ წერილი ჩვენს უფროს კოლეგაზე, ბატონ კორნელი ჩხილაძეზე, 70 წლისა შესრულდა მამინ.

პეშვში დატეული წყალივით გაპარულა 20 წელიწადი, ჭარმაგი კაცისათვის კი, რომელსაც დღემდე ბრწყინვალე აზროვნება აქვს, ვერაფერი დაუკლია.

არ იყო ია-ვარდით მოფენილი იმ თაობის ცხოვრება, კორნელი ჩხილაძე რომ ეკუთვნის.

ხონის რაიონის სოფელ გორდში დაბადებული ემაწვილის ბავშვობამ დადიანების საზოგადოებრივი რეზიდენციის თვალწარმოც სანახებში განვლო. მერე იყო წლები უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა.

მაღალმთიან აჭარაში 20 წელი დაპყრო ბატონმა კორნელმა, იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, მისებრ პედაგოგი ქალბატონი, გაჩნდნენ შვილები ჯამბუელი და ოლეგი. ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდებით აღსრულდა აჭარაში თავდადებული, უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობის წლები ბატონ კორნელის.

1969 წლიდან იგი საცხოვრებლად სამტრედიის მკვიდრება და მუშაობას იწყებს სამტრედიის რაიონულ გაზეთ "წინსვლის" რედაქტორის მოადგიულად.

წონადი ბატონი კორნელის პირადი წვლილი გაზეთისა და რედაქციის მიღწევებში.

საზოგადოებრივი დაავლებების გარეშე არასოდეს ყოფილა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირების წევრი.

წლების მანძილზე გახლდათ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საზოგადოება "ცოდნის" ლექტორი და ა. შ. არჩეული იყო რაიონის ხელმძღვანელ ორგანიზატორად.

ყოველთვის საქმიანი, მზანმიმართული, კონკრეტულ შედეგებზე იყო გათვლილი ბატონი კორნელის გამოსვლები სხვადასხვა შინაარსის შეხვედრებზე.

ახალგაზრდების დამრიგებელი, მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას უმურველად უზიარებდა მის შემდგომ თაობებს, უმცროს კოლეგებს, რაც მის ისედაც დიდ ავტორიტეტს საოცარ სიდიადეს ჰმატებდა.

დღეს უკვე ისტორიულია ბატონი კორნელის ავტორობით ყოფილ "წინსვლაში" დამკვიდრებული არაერთი და ორი რუბრიკა, მკითხველთა ცხოველ ინტერესსა და მოწონებას რომ იმსახურებდნენ ყოველთვის.

საოცრად განიცადა ცხოვრების თანამგზავრისა და უერთგულესი მეუღლის ნაადრევად გარდაცვალება, ბოლომდე დარჩა ერთგული მისი ხსოვნისა.

დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი კორნელი ჩხილაძეს მშობლიურად ქცეული რაიონის მშობლიურ გაზეთთან, რომელიც მასზე მხოლოდ ორი წლითაა უმცროსი.

85 წლისა გახლდათ, როცა მოგონებებზე წიგნად ავიხსნა სხვადასხვა დროს საოცარი სითბოთი, სიყვარულით, განცდილი და ნოსტალგიით ნასახრდოები სტრიქონები.

ბედნიერად ვგრძნობ თავს, რამეთუ მქონდა პატივი იმ აკადემიურ, მეგობრული ბირთვის წევრი ვყოფილიყავი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბატონები: ანზორ გრიგოლია, ოთარ ნაფეტვარიძე, სოსო ხაჭალია, შოთა მაღლაკელიძე და, რა თქმა უნდა, ბატონი კორნელი ჩხილაძე.

ბევრის, ბევრის სწავლა შეიძლება მათგან. ხარობს ბატონი კორნელი შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით...

არაა სულერთი ჩვენი უფროსი კოლეგისათვის, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყნის მომავალი და იმ დროს შენატრის, როცა ერთიანი, ძლიერი იყო ჩვენი ქვეყანა, თუმცა სწამს, რომ წყვილად ნათელი შეცვლის და რეალურად იხვედნენ ქვეყანაში ძმობა, მეგობრობა, კეთილდღეობა.

რაც შეეხება გაზეთთან მის დამოკიდებულებას, ძველებურად, თბილად, გულში ჩამწვდომ სტრიქონებს არც ამჯერად, 90 წლის ასაკში იშურებს იგი "სამტრედიის მაცნესადმი" რაც მისი ლექსიდანაც ჩანს, ამჟამად რომ ვბეჭდავთ.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ ჩვენს უფროს კოლეგას.

კავშირებისა და სიხარულით ლეონი ბაგჩიანი

ჩვენ თანაღობით გავლით წლები გაზეთ "სამტრედიის მაცნეს"

ათეულ წლებით, კარგეც და ავზეც, მე შენ პირველად განდობდი სათქმელს, შენით ვუწყვიდი მოზარდს ძმურად ხელს, პასუხს ვაძლევდი მტერს და მოყვარეს. ჩვენ თანაღობით გავლით წლები, გული შენს სითბოს ყოველთვის გრძნობდა, რისიც თქმა სურდა, ის რომ არ ეთქვა, ალბათ, ნაღმივით აფეთქდებოდა. დროს მისი მიაქვს, რაც სულს და ხორცს ენებს, "მოვასწოროთ უნდა!" - მომხატვის გული და შენს ფურცლებზე გაბნეულ ლექსებს წიგნებად ვკინძავ ცრემლმორთული. არ მინატრია სხვა ხედრი, მენდე, დამიმხსოვრე! - მიყვარხარ ძლიერ, შენ კი მართალი სიტყვით იცოცხლებ, ასეულ წლებით, მრავალჟამიერ!

მაცნეში ჩხილაძე

იცხოვრეთ ლამაზად და წლები ვერაფერს დაგაკლებთ

ლევან ბაგჩიანი

სრულიად შეესაბამება სტანდარტულ ექილევს ეს სიტყვები ქალბატონ ზაიდა კუკულავა-გრიგოლიას პიროვნებას.

საოცრად ლამაზი ბიოგრაფია აქვს ქალბატონს, ვისზეც ამჯერად ვწერთ. ქუთაისში, განათლებულ ოჯახში დაიბადა, სადაც დიდ პატივს სცემდნენ წიგნსა და წიგნიერ ადამიანს. სკოლაში კარგი სწავლითა და აქტიურობით გამოირჩეოდა.

მშობლებს ხშირად დაჰყავდათ კინოსა და თეატრში, რამაც გადააწყვეტინა კიდეც მსახიობობა.

დაუეწიარია მისთვის ის ახალი წელი, როცა იპოლიტე ზეინიასთან ერთად ნაძვის ხესთან შეკრებილ პატარებს საჩუქრებს ურიგებდა. ქუთაისის პიონერთა სახლის დრამატულ წრეში აკაცი წერეთლის პიესაში "პატარა კახი" - კახის, ხოლო აღ. ფაშბეგის "ხევისბერ გოჩაში" ძიძიას როლი განასახიერა.

განსაკუთრებული იყო მეფის ასულის როლი საბავშვო პიესიდან "თაფარაზენელი ჭაბუკი", სადაც პარტნიორობას მიწვევდა (მეფის როლში) შემდგომში ცნობილი კინორეჟისორი რეჟისორი ვაბრიძე. - იგონებს ქალბატონი ზაიდა გრიგოლია.

სკოლის შემდეგ იყო ინსტიტუტის წლები. პროფესორი შ. ჩხარტიშვილი, მეცნიერებათა კანდიდატი: პ. ჯაჯანიძე, რ. ბერიშვილი, პროფესორი ვ. მეძველია, მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გვაზავა, გერმანისტები ო. ი. ტიტცი, ეგროლოგი და სხვები გვიყობავდნენ ლექციებს, სტუდენტობას იხსენებს ქალბატონი ზაიდა.

სტუდენტობის წლებმაც ძალიან ჩაიჭროლა და ქალბატონმა ზაიდამ ბედნიერად ჩვენს უფროს კოლეგას, ჟურნალისტ ანზორ გრიგოლიას დაუკავშირა. საოცარი სითბოთი იგონებს დღეს დედაწამოსილი ქალბატონი დედამთილ-მამამთილს, რაიონში ცნობილ ადამიანებს, პედაგოგ ვერა ტულუშსა და ეკონომისტ პეტრე გრიგოლიას.

ამიერკავკასიის რეინციფის მცამეტე საშუალო სკოლაში დაიწყო ქალბატონი ზაიდას შრომითი ბიოგრაფია, აქ იგი გერმანულ ენას ასწავლიდა მომავალ თაობებს. სკოლას ბატონი შალვა ჩხილაძე ხელმძღვანელობდა.

"ერთხელ, დაშვალა ღია გაკვეთილის ჩატარება. დაფასთან გამოვიდა სკოლის მოწინავე მოსწავლე, ამჟამად ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახე ბეჟან გოგია, რომელიც გერმანულ ენაზე ბრწყინვალედ ჰყვება ზანგი ბიჭის ცხოვრების შესახებ, ბიჭი უსახსრობის გამო ვერ დადიოდა სკოლაში (გაკვეთილის თემა - ამერიკელი ზანგი ბიჭის ცხოვრება). საუბარში ერთვება

ციებზე იდგა, ამაში დიდი იყო სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების, ქალბატონი ზაიდა გრიგოლიას პირადი წვლილი, რაც არა ერთხელ აღნიშნულა კიდეც ავტორიტეტული ჟიურის პრესტიჟული ჯილდოებით, მედლებით.

ათეული წლები იღვწა ქალბატონმა ზაიდა კუკულავა-გრიგოლიამ მშობლიურ სკოლაში.



ასევე ნიჭიერი მოსწავლე ლევან თავაკაძე. მალე მთელმა სკოლამ გაიგო, თუ რა კარგად ეუფლებოდნენ ბავშვები გერმანულ ენას, მე კი დირექტორმა ნაყოფიერი მუშაობისთვის ქების სიგელით დამაჯილდოვა, რომელიც დღესაც ინახება ჩემს არქივში". - საუბარს განაგრძობს ქალბატონი ზაიდა და ისეთი სითბო ეღვრება მზეარაში ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბის მოგონებისას, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო.

ბატონი შალვა ჩხილაძის პენსიაში გასვლის შემდეგ სკოლას სათავეში ჩაუდგა ბატონი ბადრი ტონია. მასთან მუშაობა ახალ-ახალ ნოვატიებს მოითხოვდა. მისი ინიციატივით დაეინიშნა სკოლის ორგანიზატორად - დირექტორის მოადგიულად, ეს დიდი ნდობაც იყო, პატივიც და პასუხისმგებლობაც. - ამბობს.

სამტრედიის რაიონი ბევრი რამით იყო გამორჩეული, მაგრამ განათლება და კულტურა სხვა სიმაღლეზე იდგა, რამაც დიდი წვლილი მიუძღვოდა ქალბატონებს ნათელა გელეიშვილსა და ჯულიეტა გოგავას, განაგრძობს ჩვენი რესპონდენტი.

სასწავლო შემეცნებით თუ მხატვრულ ოლიმპიადებში, სასკოლო, რაიონულ, რეგიონულ და რესპუბლიკურ საკავშირო დონისიხებებში თუ მეცამეტე სკოლა მოწინავეთა პოზი-

ციონი იცის, რამდენი თაობა დაფრთიანდა მისი ძალისხმევით, დღეს რომ თითოეული სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სკოლას, მოსწავლეობის განუყოფელ წლებსა და მათზე მზრუნველ ზაიდა მასწავლებელს.

ტრადიციული ქართული ოჯახის დიასახლია ქალბატონი ზაიდა, ორი შვილი და სამი შვილიშვილი ულამაზებენ ხანდაზმულობის წლებს დედაწამოსილ პედაგოგს, რომელსაც საკუთარი შვილებით უყვარს რძალი და სიძე და სიყვარულსვე იმის მათგან.

სამსონ, პეტრე, ანზორ, ირაკლი გრიგოლიების ფუძემდებელი ვერა და ოჯახის იმედად იზრდება პატარა საბავშვო გრიგოლია, ბებოს სიხარული და თვალისწინით რომ ეგებება დედაქალაქიდან მამიდაშვილების ჩამოსვლას.

გაპარულან წლები, თუმცა დრო ვერ აფერმერთალებს ლამაზ მოგონებებს.

80 წლისა ხდება ამ დღეებში ქალბატონი ზაიდა. ვულოცავთ სახელოვან იუბილეს და დღევანდელ ვუსურვებთ ოჯახის, ახლობლების გასახარად.

ფესვები

ფინანსთა მინისტრი საქართველოს

ლივან გაბეჩაშვილი

რეპრეზენტაციის "ფესვები" ამერიკიდან იმ ადამიანებზე, წარმოშობით სამტრედიელზე ვისაუბრებთ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წ.წ.) დემოკრატიული მთავრობის ფორმირებაში, ახალგაზრდა სახელმწიფოს ძლიერებაში და სამართლიან დარჩენას ისტორიაში.

რეპრეზენტაციის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საუკუნოვან იუბილეისთან დაკავშირებით ვიწყებთ, ვითვლით, მკითხველებს საინტერესო პუბლიკაციებით, ფოტოებით ვამოგებთ მათ და მოგაწვდიან მათ ხელთ არსებულ შესაბამის მასალას.

დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის შესახებ ვისაუბრებთ ამჯერად.

კონსტანტინე კანდელაკი 1883 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის ოჯახში, მისი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. იგი გახლდათ პლატონ იოსების ძე კანდელაკისა და ნატალია ქაჯაიას უფროსი შვილი. მომდევნო მამა - სიმონი კონსტანტინე 4 წლით უმცროსი იყო, საუბარია საქართველოში ცნობილ ტროპეკოლოგზე, სიმონ კანდელაკზე.

ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ, კ. კანდელაკმა წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი კომერციული სასწავლებელი და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახდა საქართველოში კოლოპერაციული მოძრაობის მეთაური. სრულიად ახალგაზრდად გამოსცა წიგნი "კოოპერაცია, თეორია, ისტორია და პრაქტიკა".

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან კონსტანტინე კანდელაკი მთელი მონღოებით ამოუდგა მხარში ეროვნულ მთავრობას და ძალიან სხმევას არ იშურებდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ძლიერებისათვის. დემოკრატიული საქართველოს მთავრობაში მას ფინანსთა-ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის პორტფელი ერგო.

მისი ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზეც.

"...კონსტანტინე კანდელაკი დემოკრატიული მთავრობის ერთ-ერთი თავისუფალი წევრია. მან მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე ისეთი ნიჭი გამოავლინა, რომ ქართული ფული (მოიჭრა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში 1918-1921 წ.წ. ლ. გ.) უმოკლეს ხანში გახდა საერთაშორისო ვალუტა,

რაც ნათელს ხდის იმ მდგომარეობას, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოკლე დროის განმავლობაში ისე მომაგრდა და მოძლიერდა, რომ ახალგაზრდა სახელმწიფო ერთ-ერთი ყველაზე უფრო სტაბილური ქვეყანა გახდა ყოფილი მეფის იმპერიის ქვეყნებს შორის". - წერდა კ. ინასარიძე პარიზში გამომავალ ჟურნალში "მებრძოლი საქართველო".

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კ. კანდელაკმა ნოე ჟორდანიასა და მისი გუნდის ბედი გაიზიარა, იგი პარიზს გაემგზავრა ემიგრაციაში, მას არც იქ შეუწყვეტია დაუცხრომელი მუშაობა, აქვეყნებდა მეცნიერული ხასიათის წერილებს, წიგნებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა თანამედროვე პირობებშიაც კი.

1928 წლის 30 აპრილს, საფრანგეთში, საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების 7 კაციან ჯგუფში, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას, საფრანგეთში საქართველოს ელჩის, აკაკი ჩხენკელის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგუცკორის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ლიდერის, სამსონ ფარცხვალიას შორის იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკიც. მათ დაწერეს ერთობლივი ანდერძი, რომლითაც განისაზღვ-

რა პარიზთან ახლოს სოფელ ლევილი შეტანილი მამულის ბედი.

"არც ჩვენ პირადად და არც ჩვენ შემკვიდრებებს უფლება არა გვაქვს, ვისარგებლოთ აღნიშნული მამულით, ან იმის შემოსავლით, გარეშე საზოგადოების ნებართვისა". - ვკითხულობთ ანდერძის ერთ-ერთ თავში.

ასეც იყო, საოცარი გასაჭირის მიუხედავად დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არც ერთ წევრს არ უსარგებლია სათავისოდ მამულითა და იქ დაცული ნივთებით, ამდენად, არც საერთაშორისო სამართლისა და ქართველი ერის, ისტორიის წინაშე დასჯირვებით თავის მართლება.

ერთ საგანგებო პუბლიკაციაში, რაგინდ ვრცელიც უნდა იყოს იგი, ყოვლად შეუძლებელია, ამომწურავად საუბარი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრთა უკიდევანო დამსახურებებზე, მათ პატრიოტულ მისწრაფებებზე, ადამიანურ სულგრძობასა და ა. შ.

ვიმედოვნებთ, ამ მცირე მონათხრობით კიდევ უფრო ნათლად გავეგებოთ, თუ როგორი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სამტრედიელმა კაცმა, დემოკრატიული საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა ახალგაზრდა სახელმწიფოს ძლიერებაში, რარიც ვრცელი იყო მისი საქმიანობის ასპარეზი, რაც მთავარია, აღსანიშნავია, რომ კ. კანდელაკის მეცნიერული შრომები, წერილები დღესაც გასათვალისწინებელია, მეტიც, ყურადსაღებია, რაც



უდავოდ მოახდენს კეთილმოყოფილ გავლენას დღევანდელი საქართველოს ეკონომიკურ ყოფაზე.

1958 წელს გარდაიცვალა კონსტანტინე კანდელაკი პარიზში.

იგი იქვე ლევილის ქართულ საძვალეში განისვენებს, რომლის შესასვლელშიც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: "ამ სამარხში განისვენებს, დევნილ ქართველ ძეგლებს გროვავ, უმოწყალოდ განწირულნი/ დრომ უდროოდ დააგლოვა".

135 წელი სრულდება წელს კ. კანდელაკის დაბადებიდან, 60 წელი მისი გარდაცვალებიდან.

"არამოქალაქის პასპორტი"

ჩვენი მოძვე ქვეყნების - ესტონეთისა და ლატვიის ხელისუფლებები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე იმ უცხოელებზე (მიგრანტებზე), რომლებიც ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციის ავადსახსენებელ - 940 წლიდან 941 წლამდე პერიოდებში დასახლდნენ, გასცემენ ერთობ "ეგზოტიკური" სახელწოდებისა და დანიშნულების მქონე დოკუმენტებს - "არამოქალაქის პასპორტებს". აღნიშნული პასპორტის მფლობელებს თავისუფლად შეუძლიათ არა მხოლოდ იცხოვრონ და იმუშაონ ესტონეთსა და ლატვიაში, არამედ ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადაადგილდნენ ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაშიც. ერთადერთი, რაც "არამოქალაქის პასპორტის" მფლობელს აკრძალული აქვს, არჩევნებში მონაწილეობაა.

Genia.ge



სფრაგისტიკა

სფრაგისტიკა ისტორიის დამხმარე დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ბეჭდებს. მისი ქართული სინონიმი - "ბეჭდთმცოდნეობა". მისი შესწავლის უმთავრეს ობიექტს ბეჭდები და საბეჭდავები წარმოადგენენ. საბეჭდავი ეწოდება სხვადასხვა მასალისაგან (ლითონი, ქვა, ძვლი და სხვა მასალისაგან) დამზადებულ შტამპს, ყალიბს, ხოლო ბეჭედი მის ანბეჭდს, მიღებულ დაწვევით პლასტიკურ მასალაზე (ცვილი, თიხა, ტყვია, ლუქი, ოქრო, ვერცხლი და სხვა მასალაზე), ან საღებავების საშუალებით ეტრატზე, ქაღალდზე და სხვა. სფრაგისტიკის წარმოშობა დაკავშირებული იყო ისტორიული დოკუმენტების დაცვასა და დათარიღებასთან. ბეჭედი, როგორც საბუთის უტყუარობის ნიშანი, პირველად გაჩნდა ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში - ეგვიპტეში, ბაბილონში, შუმერებსა და სხვა უძველეს ქვეყნებში, რის შემდეგაც მოგვიანებით ბეჭდები ფართოდ გამოიყენებოდა - ანტიკურ საბერძნეთში, რომსა და ახლო აღმოსავლეთში, აქედან გავრცელდა დასავლეთ ევროპაში.


საქართველოში საბეჭდავები ფართოდ გამოიყენებოდა ქრისტეს შობამდე VI-IV საუკუნეებიდან. ჩვენამდე მოღწეულ საბუთებზე ქართულწარწერიანი ბეჭდების უძველესი ნიმუშები XV საუკუნის 70-იანი წლებიდან გვხვდება. ამ დროიდან მოყოლებული, ქართული ბეჭდების ხმარება საბუთებში სისტემატიურ ხასიათს იღებს. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ბეჭდების ფორმა, ტექსტი, აქტებთან მისი გამოყენების ხერხები (კიდული ტყვიის - ბულები, კიდული ოქროს და ვერცხლის, აქტებზე დასმული ცვილის ბეჭდები და ასე შემდეგ). ეს ცვლილებები დადგენილია სფრაგისტიკით და შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს აქტის ნამდვილობა, ხოლო აუცილებლ შემთხვევაში შედგენის დროც.

Genia.ge

"ქონდისიონური" გაუმოგონაჰის ისტორიულად...

1735 წელს ინგლისის პარლამენტში, ისტორიაში პირველად, დამონტაჟებული იქნა მექანიკური მოწყობილობა, რომელიც მოძრაობაში ორთქლის ძრავას მოჰყავდა. ამ მოწყობილობას იმთავითვე - "ვენტილატორი" უწოდეს. 1810 წელს ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში სამეცნიერო გათვლებისათვის დაამონტაჟეს სავენტილაციო სისტემა. აღნიშნული სისტემა დაპატენტებულ იქნა 1815 წელს. აღსანიშნავია, რომ ეს სისტემა არა თავად სისტემის გამომგონებელმა ინგლისელმა, არამედ საზრიანმა ფრანგმა - ჟან შაბანეშმა დააპატენტა. მის მიერ დაპატენტებულ და შექმნილ სისტემას სახელი ეწოდა "მეთოდი, პაერის კონდინირების და ტემპერატურის რეგულირების საცხოვრებელ სახლებსა და სხვა დაწესებულებებში". სწორედ ასე შემოვიდა ლექსიონში სიტყვა - "კონდიციონერა". აღნიშნულმა მეთოდმა პროგრესირება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. მიუხედავად ამ დანადგარის კომფორტულად გამოყენების თვისებებისა, მას მაინც ძალიან ცოტა მომხმარებელი ჰყავდა და შეიძლება

ითქვას, რომ არც კი ინტერესდებოდნენ მისით. პირველი კონდიციონერის შეკეთება დაფიქსირდა 1902 წელს ნიუ-იორკის ტოპოგრაფიიდან. უილის კერიერს, რომელიც ამზადებდა გამაგრებულ მანქანას (მაკინერის წინამორბედი), იმისათვის რომ დაემზადებინა დანადგარი საბეჭედი ცეხის ტენიანი ჰაერის გამოსაშრობად, სჭირდებოდა კონდიციონერი. იმ პერიოდში აზრად არავის მოსვლია კონდიციონერით ჰაერის გაგრილება. მოცულობით პირველი კონდიციონერები ძალიან დიდი ზომის გახლდნენ, ამიტომ იგი კერძო სახლებისთვის არ გამოიყენებოდა. 1924 წელს კონდიციონერის სისტემა დამონტაჟებულ იქნა დეტროიტის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და მისი დამონტაჟების შემდეგ ამ დაწესებულების პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა. 1929 წლიდან კი კომპანია "General Electric"-მა ხმარებაში გამოუშვა პირველი საოჯახო კონდიციონერი, რომელიც დღესდღეობითაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში.



Genia.ge



გუზიერო ანონიმო-ალევიჩილი

“ ჩემი ციციქა ქალბატონო! აი, ჩემი საბატონო.../ ვუთხარი და მოვატარე ვნო.../ მოგეწონა, ქალბატონო, მზის და მთვარის საბატონო.../ ეს ყველაფერი, ეს ნიაფი, ასე უმინვეზო?/ მოდექი და უპატრონე, მოდექი და იბატონე...” ასე გადამეძალა პოეტმა გული ცის კაბადონივით გაღიმებულ ქალბატონს. მას შემდეგ სულ ერთად იარეს, უფერადი, უხარადი, სტკიოდათ...

იმ “საბატონოში” ახლა მწუხრი ჩამოწოლია, ნოდარ ადგიშვილის მეუღლე, მისი პოეზიისა და ფუძის ერთგულად მოდარაჯე ქალბატონი გუზიერო გარდაიცვალა. გულნატკენი წავიდა – ჯერ მეუღლე, მერე შვილი – ვერ გაუძლო, დარდმა გადაიწვია. სათნო, კეთილშობილებით საკვსე ოჯახის დედა მისთვის ძვირფასად ამიანებთან დაიდებს სამუდამოდ ბინას. სინანული და გულწრფელი ცრემლი გაკვეთდა უკანასკნელ გზაზე. უფალი შეეწიოს ცათა სასუფეველში მიმავალს!

ქვიანა ხელი

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუსუფა ქალბატონი
გუზიერო ანონიმო-ალევიჩილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პირ იმისა მისა

ჭერმა მალა აიწია, ცას წვდებოდა ახლად დაბადებული ვაჟკაცის მშობლების სინარული. მისი იყო მამინ, 2 მისი.

... და მაშინაც, როცა უკვე 24 წლის ახალგაზრდა ინჟინერი ნადრე ვად გარდაიცვალა. ახსოვთ მეგობრებს, თანაკლასელებს ვალერი ნინუა. ისეთივე ალალ-მართალი, უბოროტო და კეთილი.



სკოლის დამთავრების 5 წლისთავი მასთან საავადმყოფოში აღნიშნეს თანაკლასელებმა. ბევრის მთქმელია ეს ფაქტი.

დღესაც, წლების შემდეგაც შანსს ხელიდან არ უშვებენ და აღდგომასა თუ სხვა ჩვეულებრივ დღეებში ხშირად ავითხავენ სამზეოდან ნადრე ვად წასულ თანაკლასელის სამარადისო სამყოფს.

ცოტა იცოცხლა და ბევრი გააკეთა. მისი გარდაცვალების შემდეგ აღიარეს და მოიწონეს ორადგილიანი საფრენი აპარატის ტექნიკური მანქანათებლები, დღეს რომ ჰაერით სჭირდება ქართულ ავიაციას.

ვალერი იყო მისი ავტორი. ინსტიტუტის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი კი, სიმბოლურად მისმა დედამ აიღო, ქალბატონმა, რომელიც ერთადერთი შვილის დაკარგვის მიუხედავად, საკუთარ თავზე, მისეულ მწუხარებაზე აძლდა და დედურ სითბოს უშურველად უწაწილებს სხვათა შვილებსა და შვილიშვილებს.

40 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ვალერი ნინუა. ნათელში იყოს.

ლევან ბაბუნაძე

გულისტკივილით ვემშვიდობებით
ზურაბ იოსების ძე სტურას
და სამძიმარს ვუცხადებთ ჭირისუფლებს.
საბუნა ბაბუნაძე

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუსუფა
ზურაბ სტურას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფლებს.



ბიო (ბიოგრაფია)
მელაქაძის ოჯახს

ამ ქვეყნიდან ყოველი ახალგაზრდის წასვლა დიდი ტკივილია, აუტანელი ტკივილია იქცევა შენი გარდაცვალება ჩვენთვის, შენი მეგობრებისათვის, გიო! უბოძო ჩვენი მწუხარება, შენ შენი ღირსებითა და კაცობით შესძელი გარემოწყოფთა დიდი სიყვარული მოგეპოვებინა, ამიტომაც, ძნელია შევეგუოთ უშენობას. ძალიან დააკლდა შენს ქალაქს, მეგობრებს, ახლობლებსა და ოჯახს!

ნათელში იყოს შენი კეთილი სული.
ზენოს მამობრაძე



გაზეთ სამტრედიის მაცნეს რედაქცია იუსუფა
ბიოგრაფია მელაქაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ისებური ტონით და ბევრი გვაცინა. შევედით ვაგონში, იქ სანდრო ინამვილი ზის, სოსო მიესალმა, სანდრო ვიღაც ქალს ესაუბრებოდა, სოსო ჩვენთან დაბრუნდა და ვაშლი გათავა. ანამ სთხოვა, მიეწოდებინა სანდროსათვის, გათლილი ვაშლით მივიდა მათთან სოსო და ჯერ ქალს შესთავაზა, მერე სანდროს. უცხად ხმაშემალი გაიციან: – ვა, მე აღარ დამჩნა კაცო. ანამ რამდენიმე ვაშლი მიწვია. ჭამდნენ, იცინოდნენ, მასლაათობდნენ. ანის მოერიდა და მომიბოდიშა, უცერემონიო კაცია, ჩვენ დავაფიცვით.

მე კი იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ ვუყურებდი სოსოს, მხიარულს, გასხივოსნებულს.

ბორჯომში მარტო დაგებუნდი, სანდრო ინამვილი შემოვიდა ვაგონში. დიდძალი ხალხი იყო, ვთხოვე დაჯდომა. სოსო უცნაური კაცია. – მითხრა ბატონმა სანდრომ. ან ხო, მაგრამ თქვენი თავი კი არ გამაცნო და დაჯდა. ბევრი გველაპარაკა სოსოს თავისებურებებზე, მის ხალას ნიჭზე, პატრონიტინზე, თბილისის სიყვარულზე.

ომის წლები იყო, სამხედრო განწყობილება სუფევდა ყველგან. თბილისში ჩავედი 2-3 დღით, აპრილის ბოლო რიცხვებში. ჩაიკვსის ქუჩაზე ცხოვრობდა ჩემი უახლოესი მეგობრები ნათელა და ანდრო თევზამეები. ამ ქუჩის ბოლოს კი ივანე მესხის ქალიშვილი ქეთო მესხი, ქეთო ჩემი ნათელი იყო. მასთან მე ხშირად დავდიოდი, იგი ავადმყოფი იყო, მაგრამ მეტად განათლებული და კეთილშობილი ქალი. ვიფიქრე, ჯერ ქეთოსთან მივალ და მერე ნათელასთან. გზაზე პატარა ბავშვი 4-5 წლის და ქალი მოდის, ხელში კალათი უჭირავს. გოგონა მომიახლოვდა და მითხრა, დედა იყიდეთ იგი და ორი კონა ია გამოიწვია, მშენებელი ბა-

ვშვი იყო, იასავით სათნო და მიმზიდველი. რა გქვია? – კითხე, იამზექეთო დამარქვა ნათელამ, ისე მზექალა მქვია. ბავშვს ვაკოცე, კალათიდან რამდენიმე კონა ამოვიღე და ფული შევთავაზე. ცოტაა თქვა გოგონამ. 1 ფული კი არა, აი, ამდენი და მაჩვენა 4 თითი. მე მანეთი ჩავუდევი ხელში გოგონას, დედამის კი 4 მანეთი.

– მეც მომეცით იგი. უპ, რა კარგი ივია, ცოცხალი, სურნელოვანი! – მოვიხედე და იოსებ გიომავილი. შევივლე – ბატონო სოსო! იგი ხელში ჩავუდევი და გულზე ვაკოცე. იცინის სოსო, ქალო, ქუჩაში ქალები კაცებს როდი კიცნიან? ლიზეტა! – იძახის უხეშად ვიღაც კაცი, ფარაჯაში გამოწყობილა, ხელში თოფი უჭირავს, ლანირული მქობელი დავითი ია კეკელიძე, ცოტა თავისებური კაცი. სახანძრო რაზმში ვმუშაობ, აი, აქ დაგინახე და გამიხარდაო. აქ ანდრო ცხოვრობს, ჩემთან ყოველთვის მოდის და მოაქვს ხან პაპაროსი, ხან საჭმელი. მე 5 მანეთი ჩავუდევი ჯიბეში. სოსოს გაეხარდა, კარგი ხარ, კარგი, მითხრა. ორივე ავედით ნათელასთან, სოსომ ივების ნაწილი ლამაქზე გაანაწილა და ცოტა წყალი დაასხა, ერთი კონა ია იქვე დადო და თქვა, ანის წავუღებ, უფარს ივბიო. ანდროც მოვიდა, გახეტები და რამდენიმე წიგნი ეჭირა ხელში. ძლიერ გაიხარა ჩვენი ნახვით, სოსომ ანდროს მოუყვა: ლიზეტა ქუჩაში მეოცნიდა კაცო, ვერ მოვიცილეო”. ანდრომ მანიშნა, აკოცეო. მეც ავდექი და ვთქვი: ანდრო ივბი მისუქლვენი ჩვენს მეგობარს და აი, ასე გულზე ვაკოცე და რამდენჯერმე ვაკოცე გულზე. იცინა, ბევრი იცინა. მერე თქვა: – ოპ, კოცნამ მშობა, კოცნამ მზარდა, კოცნას მივე ყოველივე. მერე მომეფერა, გაცვალეო. მე ბოდიშში მოვუხადე, 15 წუთით წავალ ქეთო ნათელასთან და მალე მოვბრუნდები-თქო. რომ გაიგო ქეთოსთან მი-

ვდიოდი, მითხრა, მეც ვინახულებ ქეთოს, ერთად წავიდეთო, მაგრამ ანდრომ სთხოვა – ცოტა საქმე მაქვს სალაპარაკო და ამჯერად წავიდეს ლიზეტაო. ასეც მოხდა, ქეთომ ძლიერ გაიხარა სოსოს მოკითხვით, სოსოს გაგზავნილი ივბიც, რომ გადავეცი. ქეთომ მითხრა, სოსოს უთხარი, როგორმე “ძველი თბილისის ბოქემი” მიშოვოს, ვერ ვიშოვე და მინდა გულით მქონდესო. ქეთოს ძმა, სიმონიც შემოვიდა, იმანაც დამაბარა ეს წიგნი. მალე დაგებუნდი, სოსოს გადავეცი ქეთოს დანაბარები, შეწუხდა, ანდროს თხოვა – იქნებ გაქვს, მომეცი, მე მოგიტან შემდეგო. ანდრომ 2 წიგნი გამოიტანა, ერთი ქეთოს, ერთი ლიზეტასო. სოსომ გაიხარა, მადლობა უთხრა, წიგნს დააწერა – “დიდი ოჯახის შვილს, საყვარელ ქალს, პოეტების მუზას, ქალბატონ ქეთოვანს”. – ი. გიომავილი. მერე წიგნს დააწერა – “ჩემს საყვარელ ცუგრუმელა გოგონას, ლიზეტას, კოცნის ფასად”. ნათელამ მითხრა, აბა, ახლა აკოცე სოსოს, მე ხელზე ვაკოცე. ეს ქალი გადაირა ნამდვილად და ხითხითებდა. ჩაი გააწყო ნათელამ. ომია, ღარიბულია, ბატონო სოსო. ბოდიშობდა ნათელა, მაგრამ სოსოც და ჩვენც ყველანი მადიანად მივითმევდით ნათელას მიერ გაკეთებულ ზატაპურს. ანდრო და სოსო სადღაც წავიდნენ, მე იმ დამით ნათელასთან დავრჩი აღტაცებული, რომ ჩემს ძვირფასად ამიანებთან ვარ და ბატონი სოსოც ასე ხანგრძლივად ვნახე და ვისაუბრო.

გიორგი არველაძე ღანიის საშუალო სკოლის ფუფემდებელი და დირექტორი იყო. სამამულო ომის დროს არმიამ გაიწვიეს. იქედან დაბრუნებულზე პარტიაოფოში მუშაობდა, რაიონის მდივანი მიშა ნიშნანიძე იყო.

საშუალო სკოლიდან რაღაც ცნობები გამატანეს პარტიაოფოში, გი-

ორგისთან მივედი. გიორგი წერდა და მითხრა, ცოტა ხანს დამიცადეო. მე აივანზე გავედი. ავტუბე ვიერილი – ბატონო გიორგი, ბატონო გიორგი ლია და გიომავილი, გიომავილი (ლია, ფუცუ დგებუაძის ძმისწული). უცებ მოვბრუნდი და სირბილით ჩავივრინე კიბეები, ძლივს მოვიტყე სული, მერე ლიასთან მივედი და დაუუძახე... სოსო ალიო ადამიას ელაპარაკებოდა. აი, ლიზეტაც, უთხრა ლიამ სოსოს. უპ, ჩვენი ლიზეტა, ელისაბედი, თქვა და ახლა თვითონ გამოიწვია საკონცერტო, მე მოვასწარი და გულზე ვაკოცე. გაიცინა.

ალთომ პაპაროსი მთხოვა, ვერ ვიშოვე, იქნებ საიდანმე დააძვირინო. მე ბოდიში მოვუხადე და წავედი ჩემს დასთან იდასთან, ვიცოდი, დავითისათვის ყოველთვის ჰქონდა პაპაროსი.

ორი ცალი სივარეტი წამოვიღე. ასანთიც, ისინი უკვე ქალაქის ბაღში ისხდნენ და ხილს მიირთმევდნენ. მივუტანე ალიოს სივარეტები, სოსოს კი ხუთი წითელი ვაშლი და 1 კარდის კოკორი მივართვი. თვალები გაუბრწყინდა. გადასარევი გოგოა ჩვენი გოგო, ყოჩაღო. ლიამ თხოვა საღამოს შემდეგ ღანიში წამობრძანდით, ლიზეტას დედა გაიცინათო. მამია ფუცუ და პაუსიაც იქ დაგვხდებოდა. მაგრამ საღამოსვე ბრუნდებოდნენ თბილისში და ეს ვერ მოხერხდა, ჩვენ საღამოს ვერ დავესწარიო, რადგან ღანიიდან მერე სამტრედიამ გამობრუნება ტრანსპორტის გამო შეუძლებელი შეიქნა.

სოსომ წამოსვლისას ყურძენი მომაცნო, ყურძენი მაინც ჭამე ქალო, ასე როგორ იქნებაო. მე პატარა მტკვანი ავარჩიე. იქვე გაზეთი მოვხიე შევახვიე და ვთქვი, სანამ შეინახება არ შეგუბა, შეგინახა. ბევრი იცინა, ამ შეხვედრით უსაზღვროდ გახარებული და ბედნიერი ვიყავი. გიორგი ყველას უყვებოდა, “ლაშის აივანიდან გადახტა, გიომავილი რომ დაინახაო” და იცინოდა.

გიომავილის ლექსების უმრავლესობა ზეპირად ვიცოდი და ჩემი პიონერებიც სიამოვნებით სწავლობდნენ”.

ცხოვრობს ლიზეტა დგებუაძე სამტრედიის რაიონის სოფელ ღანიში და მოგონებებით საზრდობს, რაც მის ტრადიციულ ოჯახს ასე უხვად შემორჩა, ერთი მათგანია ი. გიომავილთან ურთიერთობა. მისმა ახლობლებმა კი სწორედ ამ ოჯახის წყალობით რამდენი ვიცით შალვა ელიავას, შალვა დადიანის, სიმონ და მარიკა ჩიქოვანების, ფუცუ და პაუსიას დგებუაძეების, ვალენტინა იშხნელის, ანდრო თევზამის, ეროსი მანჯგალაძის, მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეების და სხვათა შესახებ.

ცხოვრობს სოფელში ინტელიგენტი. კვლავ პოეზიაზე შეყვარებული. გულისტკივილით შემოძრია: ვერავის ვაპატიებ, ის კოლორიტი დაუკარგოს სოსოს ლექსებს, რასაც მათ ასეთი ჯადოს თავისებური კითხვაც ანიჭებდაო. მართლაც!”

რევაზ კანდელაკს!

ომისა და შრომის ვეტერანს, ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ რევაზ კანდელაკს ვულოცავთ 94 წლის შესრულებას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და მშვიდ ხანდაზმულობის წლებს ვუსურვებთ საყვარელ ოჯახთან ერთად!

მშპრანის რაიონული კავშირი



94 წლის შესრულებას გილოცავთ ბატონო რეზო, ისარეთ და იდეგერძელეთ, უფალმა გაგაძლიეროთ!

“სამხრეთის მაცნე”

ბატონ რევაზ კანდელაკს!

დაბადების დღეს გილოცავთ ღვაწლმოსილო ადამიანო. ისარეთ, იდეგერძელეთ.

მშპრანის სოციალური სამსახური


კორნელი ჩხიშკაძეს!

ბატონო კორნელი, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოვესალმებით საფრანგეთიდან და კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს – 90 წლისთავს! უმრავლოს ჩვენს ქალაქს, ქვეყანას თქვენნაირი ნიჭიერი ლეთისმოსავი და კეთილშობილი ადამიანები. სისარული, წარმატება და ბედნიერება არ მოკლებოდეს თქვენს ლამაზ ოჯახს. ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებთ! უფალმა დაგლოცოთ! დღეს ბევრი გყავთ მადლიერი, ბევრი მინახავს თქვენი დიდსულოვნებით, ტრადიციულობით, სიღარბისლით, გულისხმიერებით მოხიბლული. დღესაც საინტერესოდ ცხოვრობთ, კითხულობთ, წერთ, გააღებებთ საქართველოს მომავალი.

მე კი, მდაბლად ვზრი თავს თქვენს წინაშე ბატონო კორნელი და ისევ გიხდით მადლობას, რამეთუ უდიდესია თქვენი ამაგი ჩემი სამომავლო გზის გაკაფვასა და დაკვალიანებაში.

ბაჩანა ჩხიშკაძე

პროფესორი, პოეტი, მთარგმნელი, მთარგმნელი



ოჯახის ნათლიას, კაცურ კაცს, ბატონ გურამ ახობაძეს ვულოცავთ 80 წლის იუბილეს.

დღეგრძელობას და კეთილდღეობას ვუსურვებ ოჯახთან ერთად!

რევაზ კანდელაკი ოჯახით

იყიდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა სამტრედიამში. მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, კორპუსი №13, მე-4 სართული (მაგთის ოფისის თაფზე). ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 555 16 99 14; 577 93 99 45.

ლოზი კანთარიას!

ლოზი, გილოცავთ დაბადების დღეს 9 წლის წინ, დიდი ხუთშაბათის დღეს განაფხულის მერცხალივით შემოფრინდი ჩვენს ოჯახებში და შემოიტანე დიდი სითბო და სიყვარული.

უფალი გფარავდეს, გაიხარე. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებულ სწავლასა და უღვე სისარულს საყვარელ და-მმასთან, მშობლებთან და მოსიყვარულე ადამიანებთან ერთად.

თორღა ნადირაძე და მისი კანთარია



ანასტასია ბაბისა!

ჩემო მშვენიერო, მხიარულო, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ცუგრუმელა ანასტასია, დაბადების დღეს გილოცავ. ბევრი ლამაზი დღე გაგოთენებოდეს, ღიმილით, წარმატებებით, ბედნიერებით სავსეს გველოს ცხოვრების გზაზე. შენ ვველაზე ლამაზი მზე ხარ, 9 წლის წინ რომ შემოანათა ჩვენს სახლში და შენთვის ძვირფას ადამიანებს გული გაგვიტო, სიცოცხლეს აზრი მისცა და იმედებით აგვავსო.

უფალი იყოს შენი მფარველი! გაიხარე პატარავ და გაახარე შენი ოჯახი, შენი ქვეყანა კარგი ქალებით!

ნატალია პოპოვა

მადლობა!

მინდა უღრმესი მადლობა გადაგუხადო გულთბილი და გულისხმიერი მომსახურებისათვის “ლიბერთი ბანკის” თანამშრომელ გოგონებს ქეთი კვიციანიშვილსა და თეონა სულავას. ღმერთმა უმრავლოს ასეთი ღირსეული ადამიანები საქართველოს.

კახიშვილი დავა პოპოვი მცხრეაძე კნსიონკვი ნახული და რხინეზი მხრინეზიშვილი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ადგილობრივი ფილიალის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, სერგო რუხაძეს, აღმასრულებელ მდივანს ნათია პაპავას, ბინაზე მოვლის სპეციალისტებს, ნათია გოგუაძეს, ჯული კეკელიძეს, კომუნიკაციის სპეციალისტებს, სოფო ლოლოერიძეს, ირმა შევლიძეს, მონხალისეთა ინიციატივების განვითარების სპეციალისტს, ნარგის ზურაბიანს, მადლობას ვუხდით იმ მშრუნეელობისთვის, რასაც ისინი ჩემისთანა შეჭირვებული ადამიანებისთვის იჩენენ.

ციური პოპოვი

სამტრედიამში, ჭავჭავაძის ქუჩის № 3-ში ფუნქციონირებს ფოტოვიდეო სტუდია “დიადემა”
სადაც მოგემსახურებათ ფოტოგრაფი, დიზაინერი პაატა ცერცვაძე.
ტელ.: 598 50 39 52.



რედაქციის მისამართი: სამტრედიამ, რისაუპლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839



დირექტორი ბაქან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთიშვილი ჭიჭიძე
გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავა

